პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

სამშაბათი, 1 აპრილი, 1952 წ. № 78 (9238). ფასი 20 კაპ.

ბიბლიოთეკა

1951 წელს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში მიღწეულ წარმატებებთან, შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შესაძლებლად მიიჩნიეს განხორციელდეს 1952 წლის 1 აპრილიდან მასობრივი მოხმარების სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი—სათვალავით მეხუთე—შემცირება.

სასურსათო საქონელზე ფასების ეს შემცირება საბჭოთა ქვეყნის ძლიერების, მისი მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკის, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომი ამაღლებისათვის ჩვენი პარტიის, მთავრობის, მშობლიური სტალინის მზრუნველობის ახალი ბრწყინვალე გამოხატულებაა.

## ავამაღლოთ მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე

**საბჭოთა** ხალხი ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით წარმატებით წყვეტს სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანებს, თანდათან აფართოებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უდიდესი მასშტაბები პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგისადმი ხელმძღვანელობის დონის შემდგომ ამაღლებას, პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას, მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ბოლშევიკური მეთოდების კარგად ცოდნას. ეს მით უმეტეს საჭიროა, ვინაიდან ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის პრაქტიკულ მოღვაწეობაში მჟღავნდება ამ მეთოდების დავიწყება, უცოდინარობა, ჯერ კიდევ სავსებით არ არის აღმოფხვრილი პარტიული ორგანიზაციის მიერ სამეურნეო ორგანოს შეცვლის დასაგმობი პრაქტიკა, წვრილმანი სამეურნეო საქმეებით გატაცება, რასაც შედეგად მოსდევს შინაპარტიული მუშაობის დაქვეითება, სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის მოდუნება, ნაკლოვანებანი სამეურნეო მუშაობაში.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც მტკიცედ ხელმძღვანელობენ ამხანაგ სტალინის მითითებებით, ყოველდღიურად აუმჯობესებენ მეურნეობისადმი ხელმძღვანელობას და სერიოზულ წარმატებებსაც აღწევენ სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.

მაგრამ იმის თქმა, რომ მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში ყველა პარტიული ორგანიზაცია თავისი ამოცანების სიმაღლეზე იდგეს, სწორი არ იქნებოდა. არიან სამრეწველო საწარმოთა და კოლმეურნეობათა ისეთი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც უპერსპექტივოდ მუშაობენ, ვერ ერკვევიან მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ბოლშევიკურ მეთოდებში, კმაყოფილდებიან წვრილმანი სამეურნეო საქმიანობით, ივიწყებენ ძირითად ამოცანებს. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ მჟღავნდება რაიონულ და საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე, რომლებიც ამჟამად მთელ რესპუბლიკაში მიმდინარეობს. თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი საწარმოა რესპუბლიკაში, ვერ ასრულებს სახელმწიფო დავალებებს, ამ ბოლო დროს გაიზარდა ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებაც. ფაბრიკაში ყურადღება არ ექცევა ახალგაზრდა, უნარიანი კადრების დაწინაურებასა და შენარჩუნებას, არის მუშათა დენადობა. ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია სამეურნეო მუშაობის ამ ჩავარდნებს სათანადო ანალიზს ვერ უკეთებს, ძლიერ ცოტას ფიქრობს საწარმოს პერსპექტიულ საკითხებზე, არ ზრუნავს ახალგაზრდა კადრების დაწინაურება-შენარჩუნებისათვის, რეზერვების გამოვლინებისათვის, საჭირო კონტროლს ვერ ახორციელებს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, საწარმოს კოლექტივში სრულიად არადამაკმაყოფილებელ პოლიტიკურ მუშაობას ეწევა. დავალებებს ვერ ასრულებს თბილისის ლოკომოტივ-შემკეთებელი ქარხანაც. ამ ქარხნის ჩამორჩენის ძირითადი მიზეზიც პარტიული ორგანიზაციის სუსტი მუშაობაა. გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები არ ხდება კომუნისტების მსჯელობის საგნად. ქარხანაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პოლიტიკური მუშაობა, პარტიული ორგანიზაცია სუსტ კონტროლს უწევს ადმინისტრაციის საქმიანობას.

რესპუბლიკაში არიან ისეთი კოლმეურნეობები, სადაც არ სრულდება მოსავლიანობის ზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმები, ირღვევა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება, არის საკოლმეურნეო ქონების განიავებისა და დატაცების შემთხვევები. ცხადია, ამ კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე რომ იდგნენ, სწორად ხელმძღვანელობდნენ მეურნეობას, საქმე ასე ცუდად არ წარიმართებოდა.

პარტიული ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან მეურნეობის მდგომარეობისათვის. მაგრამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, წარმატებათა მიღწევა შეიძლება არა წვრილმან სამეურნეო საქმეებში ჩარევით, არამედ პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებით, სამეურნეო ორგანოებისადმი დახმარების გაძლიერებით, მათი განმტკიცებით, მათდამი პარტიული კონტროლის სწორად მოწყობით.

„აუცილებელია, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — **შევითვისოთ სამეურნეო ორგანოებისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მეთოდი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სისტემატურად დავეხმაროთ ამ ორგანოებს, სისტემატურად განვამტკიცოთ ისინი და ვუხელმძღვანელოთ მეურნეობას არა ამ ორგანოების გვერდის ავლით, არამედ მათი საშუალებით**“.

სამეურნეო ორგანოებისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობა უპირველეს ყოვლისა ნიშნავს მათთვის საუკეთესო მუშაკების, კარგი ორგანიზატორების შერჩევას, ამ ორგანოების ისეთი კადრებით უზრუნველყოფას, რომლებსაც უნარი შესწევთ კარგად გაიგონ პარტიის ყოველი დირექტივისა და მითითების შინაარსი, პრაქტიკულად განახორციელონ ისინი, ყველა საქმეს, მცირე იქნება იგი თუ დიდი, მიუდგნენ საერთო-პარტიული, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით.

სამეურნეო კადრების შერჩევა კიდევ არ ნიშნავს ყველაფერს. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა სისტემატური კონტროლი გაუწიონ მათ საქმიანობას, დროზე შეამჩნიონ ნაკლოვანებანი, სათანადო ანალიზი გაუკეთონ მათ მიზეზებს, დაეხმარონ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის სწორად განხორციელებას. ხოლო კონტროლის სწორად მოწყობა შეუძლებელია ისე, თუ პარტიულ ორგანიზაციაში მაღალ დონეზე არ დგას ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობა, თუ მაღალი არ არის კომუნისტების იდეური დონე, თუ პარტიული ორგანიზაციის წევრები არ უჩვენებენ შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების მაგალითებს, თუ არ არიან პრინციპულნი, ინიციატივიანნი, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელნი.

სწორად რომ ვუხელმძღვანელოთ, ჩვენი მუშაობა პერსპექტიული რომ იყოს, საჭიროა კარგად ვიცოდეთ მეურნეობის ეკონომიკა. პარტიული მუშაკები, კომუნისტები ვალდებული არიან სწავლობდნენ მეურნეობის ეკონომიკის საკითხებს. ამ საკითხების ცოდნა მათ საშუალებას მისცემს სწორად დასახონ და გადაწყვიტონ მეურნეობის საკვანძო საკითხები, მოახდინონ მთელი ძალების მობილიზაცია შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მიაღწიონ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას, ყოველმხრივ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, ფართოდ გაავრცელონ და დანერგონ მოწინავეთა გამოცდილება.

პირველადი ორგანიზაციების განმტკიცება, მათი პოლიტიკური და ორგანიზატორული როლის ამაღლება პარტიული კომიტეტების ყოველდღიური ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს. პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტები ხშირად უნდა იხილავდნენ მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის, პარტიული კონტროლის საკითხებს, დაუყოვნებლივ ასწორებდნენ შემჩნეულ ნაკლოვანებებს, აღწევდნენ იმას, რომ ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაცია სწორად აწყობდეს სამეურნეო ხელმძღვანელობისადმი კონტროლს.

სწორად შევახამოთ სამეურნეო და პარტიული მუშაობა, გავაუმჯობესოთ მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა, უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობა, მოვიპოვოთ ახალი წარმატებანი სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

### არხის შესასვლელთან

**სტალინგრადი.** (საკდესი). ვოლგის მხრიდან ვოლგა-დონის სანაოსნო არხის შესასვლელთან ახლა გაცხოველებული მუშაობაა. გუგუნებენ ბულდოზერების მოტორები, განუწყვეტლივ დადიან აქეთ-იქით ქვიშით, ქვითა და ბეტონით დატვირთული თვითმცლელი მანქანები. სამი სამშენებლო უბნის კოლექტივები ეწევიან ნაპირების მოპირკეთებას.

არხის შესასვლელის წინ ვოლგის მარჯვენა ნაპირს დაახლოებით ერთ კილომეტრ სიგრძეზე აპირკეთებენ მასიური რკინაბეტონის ფილებით. მოჩანს ამას წინათ დარგული მრავალწლიანი ხეების პირველი მწკრივები. სარეპტის ნახევარკუნძულის ნაპირი, სადაც პირველი შლუზი შენდება, გრანიტით იმოსება.

სამუშაოს უფროსი მწარმოებლის ვ. რასსოხინის უბანზე ვოლგის დონიდან ორმოც მეტრ სიმაღლეზე აღმართულია გიგანტური კვარცხლბეკის ლითონის შეფიცრული კარკასი, რომელზეც დაიდგმება დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მონუმენტი.

შენდება ტერასები და ვოლგასთან ჩასასვლელი. გრანიტულ-არქიტექტურულ სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის პ. კატანოვის კოლექტივმა გუშინ დაამთავრა გრანიტის ფილებით მოპირკეთება კიბის ქვედა ნაწილისა, რომელსაც ზღუდარის დაშლის შემდეგ მიადგება ვოლგის წყალი. კიბისა და პირველი ტერასის მშენებლობა დასახულია დამთავრდეს გაზაფხულის წყალდიდობის დაწყებამდე.

### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

## სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ

1951 წელს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში მიღწეულ წარმატებებთან, შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შესაძლებლად მიიჩნიეს განხორციელდეს 1952 წლის 1 აპრილიდან მასობრივი მოხმარების სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი — სათვალავით მეხუთე — შემცირება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა **დაადგინეს:**

1. 1952 წლის 1 აპრილიდან სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასები შემცირდეს შემდეგი ოდენობით:

**გამომცხვარი პური, ფქვილი და მაკარონი**

| | |
|---|---|
| ჭვავის პური | 12% |
| ხორბლის გაწმენდილი ფქვილის პური | 12% |
| დიკის პური | 15% |
| ხორბლის ხარისხოვანი ფქვილის პური, ბულკი, კვერი და სხვა პურ-ფუნთუშეული ნაწარმი | 15% |
| ჭვავის ფქვილი | 12% |
| ხორბლის გაწმენდილი ფქვილი | 12% |
| ჭვავის გაცრილი ფქვილი | 15% |
| ხორბლის ხარისხოვანი ფქვილი და სხვა ფქვილი | 15% |
| მაკარონი, ლაფშა და მაკარონის სხვა ნაწარმი | 15% |
| საფუარი | 20% |

**ბურღული, ბრინჯი, პარკოსანი კულტურები და საკვები კონცენტრატები**

| | |
|---|---|
| მანანის, ქერისა და შვრიის ბურღული | 20% |
| ფეტვის ბურღული, წიწიბურის ბურღული, ბრინჯი, საგო, სხვა ბურღულები და პარკოსანი კულტურები | 15% |
| საკვები კონცენტრატები | 10% |
| სახამებელი | 15% |

**მარცვლეული და ფურაჟი**

| | |
|---|---|
| ჭვავი | 12% |
| ხორბალი, შვრია, ქერი და სხვა სახის მარცვლეული | 15% |
| ქატო, კოპტონი, შროტი, კომბინირებული საკვები, თივა და ჩალა | 15% |

**ხორცი და ხორცის პროდუქტები**

| | |
|---|---|
| ძროხის, ცხვრის, ღორის ხორცი, ძეხვი, სოსისი, სარდელი, ქათამი და ხორცის სხვა პროდუქტები | 15% |
| იხვი, ბატი და ინდაური | 20% |
| ხორცისა და ხორც-მცენარეული კონსერვები | 20% |

**ცხიმი, ყველი და რძის პროდუქტები**

| | |
|---|---|
| კარაქი | 15% |
| საჭმელი ქონი | 20% |
| რძე, რძის პროდუქტები და რძის კონსერვები | 10% |
| ყველი საბჭოთა, შვეიცარული, ჰოლანდიური და სხვა | 20% |
| ადგილობრივი ყველი | 10% |
| მცენარეული ზეთი | 20% |
| არახისისა და კურკოვანთა ზეთი | 30% |
| მარგარინი | 15% |
| სოუსი-მაიონეზი | 30% |
| ნაყინი | 15% |
| კვერცხი | 15% |

**შაქარი, საკონდიტრო და საბაკალეო საქონელი**

| | |
|---|---|
| შაქარი, ფხვნილი და რაფინადი | 10% |
| შეხვეული კარამელი, რბილი კამფეტი, შოკოლადი და სხვა შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმი | 10% |
| შეუხვეველი კარამელი | 15% |
| ნამცხვარი, ვაფლი, კექსი, ტორტი, შაქარლამა, თაფლის კვერი, ორცხობილა და ფქვილის სხვა საკონდიტრო ნაწარმი | 12% |
| მურაბა, ჯემი და ჟელე | 10% |
| ვიტამინები | 10% |
| ნატურალური ჩაი | 20% |
| ნატურალური ყავა და კაკაო | 15% |
| ყავის სასმელები | 10% |
| მარილი | 30% |
| ძმრის ესენცია | 15% |

**ხ ი ლ ი**

| | |
|---|---|
| ვაშლი, მსხალი და ყურძენი | 20% |
| გაყინული ხილი და კენკრა | 20% |
| ხმელი ხილი და კაკალი | 20% |

**ბოსტნეულისა და ხილის კონსერვი**

| | |
|---|---|
| ბოსტნეულის ნატურალური კონსერვი: კიტრი, წიწაკა, მწვანე ბარდა, ტომატი და გაყინული ბოსტნეული | 20% |
| ხილის კონსერვი: კომპოტი, პიურე და პასტა, ბოსტნეულის წნილი, ტომატ-პასტა, ტომატ-პიურე, ხილისა და ტომატის სოუსები | 10% |
| ნატურალური წვენი: ყურძნის, ვაშლის, ქლიავისა და ტომატისა | 20% |

2. შემცირდეს შესაბამისად ფასები რესტორანებში, სასადილოებსა და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოებში.

3. შემცირდეს 1952 წლის 1 აპრილიდან წიგნების, მათ შორის სახელმძღვანელოების საცალო ფასები საშუალოდ 18%-ით.

4. შემცირდეს აგრეთვე 1952 წლის 1 აპრილიდან სასტუმროების ნომრების გადასახდელი საშუალოდ 15%-ით.

## რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

29 მარტს კრემლში გაიმართა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სხდომა.

კრემლის დიდ სასახლეში შეიკრიბნენ დეპუტატები — თექვსმეტ მოკავშირე თანასწორ რესპუბლიკათა შორის პირველი რესპუბლიკის—რუსეთის ფედერაციის ყველა ხალხის წარმომადგენლები.

ხალხის რჩეულნი სამი დღის განმავლობაში განიხილავდნენ რუსეთის სფსრ 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის განუწყვეტელი ზრუნვის მკაფიო გამოხატულებაა. დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს რესპუბლიკის ახალი ბიუჯეტი.

დარბაზში მრავალი სტუმარია — დედაქალაქის საწარმოთა სტახანოველები, მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

საღამოს 7 საათია. მთავრობის ლოჟებში შემოდიან ამხანაგი **ი. ბ. სტალინი**, ამხანაგები **ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი მიქოიანი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, პ. კ. პონომარენკო, მ. თ. შკირიატოვი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების წევრები, მინისტრები.

დეპუტატები და სტუმრები ერთი გრძნობით გამსჭვალულნი, ფეხზე დგებიან. კრემლის დიდ სასახლეში რამდენიმე წუთს გრძელდება მქუხარე ოვაცია ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პატივსაცემად. დარბაზის ყველა კუთხეში გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“, „ამხანაგ სტალინს—ვაშა!“, „დიდება ამხანაგ სტალინს!“.

თავმჯდომარე დეპუტატი **ლ. ნ. სოლოვიოვი** აცხადებს, რომ სესიის დღის წესრიგშია რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ პირველ და მეორე სესიებს შორის მიღებულ ბრძანებულებათა დამტკიცება.

ამ საკითხზე მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს დეპუტატ **ი. ნ. ზიმინს**. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს.

დღის წესრიგშია რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის საკითხი. გამოდის დეპუტატი **პ. ფ. ლადანოვი**. იგი აცხადებს, რომ რუსეთის სფსრ 1947 წლის არჩეული უმაღლესი სასამართლოს რწმუნებათა ვადა გადის და ამიტომ საჭიროა არჩეულ იქნას სასამართლოს ახალი შემადგენლობა. მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, ვორონეჟის, ჩელიაბინსკის ოლქების, კრასნოდარის მხარის, თათრეთისა და ბაშკირეთის ასს რესპუბლიკების დეპუტატთა ჯგუფის სახელით მას წინადადება შეაქვს რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლო არჩეულ იქნას 87 კაცის შემადგენლობით.

რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. **ს. პ. ბიტიუკოვი**. არჩეულ იქნენ აგრეთვე რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები. შემდეგ აირჩიეს სახალხო მსაჯულები 70 კაცის რაოდენობით.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ დღის წესრიგის ყველა საკითხი გადაჭრილია და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიას დახურულად აცხადებს.

დარბაზში მყოფნი ფეხზე დგებიან და მხურვალედ მიესალმებიან მშრომელთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. გაისმის მისასალმებელი შეძახილები: „დიდება დიდ სტალინს!“, „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“, „საყვარელ სტალინს—ვაშა!“. დარბაზში დიდხანს არ ცხრება მქუხარე ოვაცია.

## ბულაჩაურმშენის კოლექტივის გამარჯვება

### წყლის გამოშვება თბილისისაკენ

გუშინ, 31 მარტს, ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლებმა 1952 წლის პირველი კვარტალის დამთავრება ბრწყინვალე შრომითი გამარჯვებით აღნიშნეს — საბოლოოდ გამზადებული მილსადენით წყალი გაუშვეს თბილისისაკენ და ამით თბილისის მშრომელებისათვის მიცემული დაპირება, რომ მარტის მესამე დეკადაში დაამთავრებდნენ დედაქალაქისაკენ წყლის გამოსაშვებად საჭირო ყველა სამუშაოს, პირნათლად შეასრულეს.

საბოლოო დანიშნულების ადგილამდე წყლის გამოშვების წინ მშენებლობის ხელმძღვანელებმა — შ. ცაგარელმა, გ. ჯანელიძემ, ნ. ფირცხალავამ და სხვებმა შეამოწმეს მთელი ტრასი სათავის კვანძიდან ბოლომდე. ყველგან, ყველა უბანზე ტრასის დათვალიერებისას მათ უერთდებოდნენ სამშენებლო უბნების ხელმძღვანელები, მოწინავე მშენებელი მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები. წყლის გაშვების წინ განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენდა მთაში თოვლის დნობის დაწყების გამო ხევებში ადიდებული წყლის წინააღმდეგ ბრძოლა, აგრეთვე გვირაბების საბოლოო რევიზია. ადიდებული წყალი მილსადენისათვის გაჭრილ ტრანშეას ემუქრებოდა.

დიდი შრომა გასწიეს პირველი სამშენებლო უბნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ადიდებული წყლისაგან ტრანშეის დასაცავად. მთელი დღეღამის განმავლობაში ებრძოდნენ ხევებში წყალს და მხოლოდ 31 მარტს საღამოსათვის შეძლეს მისი იმდენად ალაგმვა, რომ მილსადენის ტრასიდან ნიაღვრის წყალი აეცდინათ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მეორე სამშენებლო უბნის კოლექტივი, რომელსაც ახალგაზრდა ენერგიული ინჟინერი ბორის კოდუა ხელმძღვანელობს. ამ უბნის კოლექტივმა გუშინ სარეკორდოდ მცირე დროში მოახერხა ფუჭ წყალგადასაშვებზე ეგრეთწოდებული შთანმთქმელის დაბეტონება და საბოლოოდ გამზადება, რასაც ჩვეულებრივად მთელი კოლექტივის 2 დღის მუშაობა დასჭირდებოდა. შთანმთქმელი წყალგადასაშვების ის ნაწილია, სადაც წყლის ვარდნის ძალა უნდა გაქარწყლდეს, რათა მან ნიადაგის ნგრევა არ გამოიწვიოს. ამ მნიშვნელოვანი სამუშაოს დროით შესრულებაზე დამოკიდებული იყო თბილისისაკენ წყლის გამოშვება, და ამ საქმეში განსაკუთრებული ენერგია და სიმტკიცე გამოიჩინეს უბნის მოწინავე ადამიანებმა ინჟინერმა ბორის მგალობლიშვილმა, საბა მაგდალიანოვმა, პლატონ ჩოფუზოვმა, სიმონ პაპაშვილმა, ივანე პოლიაკოვმა, მიხეილ მუხათგვერდელმა, ალექსანდრე ზაუტაშვილმა და სხვ.

უკვე საღამოს ჟამმა მოაღწია, როდესაც სათავიდან დიდი ხნის წინათ წამოსულ წყალს, რომელიც მანამდე ხევში უსარგებლოდ ილვრებოდა, გზა გაუხსნეს ტრასის შემდგომი მიმართულებით. შხუილით გამოქანდა თბილისისაკენ ბროლივით გამჭვირვალე, ანკარა ბულაჩაურული წყალი. ამასობაში ინჟინრები გიორგი ჯანელიძე, გიორგი მამულაშვილი, ალექსანდრე მხატვრიშვილი, მარკშეიდერი სიმონ ჭეიშვილი, მშენებელთა მეთაურები გრიგოლ სოხაძე და დავით კალანდაძე მრავალკილომეტრიან გვირაბთა მზადყოფნის შემოწმების შემდეგ მიწის სიღრმიდან ამოვიდნენ და წყალს თბილისისაკენ გზა გაუხსნეს.

ღამის 10 საათზე წყალი უკვე გამოჩნდა საბოლოო დანიშნულების ადგილზე. ამ გამარჯვებით აღფრთოვანებული მშრომელები წყლის გამოჩენას ტაშითა და სიხარულის შეძახილებით შეხვდნენ:

— დიდება დიდ სტალინს!

— გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის თავისუფალ შრომას!

* * *

ბულაჩაურის წყალს გახსნილი აქვს გზა თბილისამდე. ერთი თვე უნდა იდინოს მან, გარეცხოს და საიმედოდ გაასუფთაოს გზა, სანამ მომხმარებელთ მიაწვდიდნენ. მთავარი უკვე გაკეთებულია, ბულაჩაურის წყალი წამოსულია თბილისისაკენ.

**დ. ლომთაძე**

# საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა მთავრობისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სასურსათო საქონელზე ფასების ახალი შემცირების შესახებ

## მადლობა მშობლიურ სტალინს

როცა რადიო გადმოსცემდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სასურსათო საქონლის საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ, ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშები, მო- ...

— ის, რასაც ამ წუთში მე ვფიქრობ, თვითეული საბჭოთა ადამიანის ფიქრიც არის. მადლობა მშობლიურ სტალინს ბედნიერი ცხოვრებისათვის, რომელიც სულ უფრო და უფრო სასიხარულო და შეძლებული ხდება. სასურსათო საქონლის საცალო ფასების ახალი შემცირება საბჭოთა ხალხის კიდევ ერთი დიდი გამარჯვებაა კომუნიზმის გზაზე. ეს საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. თვითეული მშრომელის პატრიოტული მოვალეობაა პარტიისა და მთავრობის მზრუნველობას ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხოს.

მგზნებარე სიტყვას ამბობს ჩქაროსანი ხარატი ამხ. კ. ტიმოფეევი:

— მაშინ როცა ომის ამერიკელ-ინგლისელი გამჩაღებლები დანაშაულებრივ ბაქტერიოლოგიურ ომს აწარმოებენ კორეისა და ჩინეთის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, სიღატაკესა და გაჭირვებაში ყრიან მშრომელთა მასებს, ბოლშევიკური პარტია ...

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილება სასურსათო ფასების შემცირების შესახებ მშრომელთა კეთილდღეობის ზრდისათვის სტალინური ზრუნვის ბრწყინვალე მაგალითია. ფასების ახალ შემცირებას ვუპასუხოთ სტახანოვური მუშაობის გაჩაღებით. ჩვენი ცვლის კოლექტივის სახელით ვკისრულობ 120 პროცენტით შევასრულოთ აპრილის საწარმოო გეგმა.

დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღფრთოვანების ვითარებაში ჩატარდა სახელდახელო მიტინგები აგრეთვე ქარხნის ამწყობ, საქვაბე და სხვა საამქროებში.

## უფიქართა სიხარული

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მეორე ცვლის მუშები და მოსამსახურეები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სასურსათო საქონლის საცალო ფასების ...

... ომის წარმოებას, ჩვენი ქვეყანა ათობით და ასობით მილიარდ მანეთს ახმარს მშვიდობიან მშენებლობას, ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის განუხრელ აღმავლობას. პარტიისა და მთავრობის ამ მზრუნველობას ჩვენ უნდა ვუპასუხოთ მუშაობის ...

... უდიდესი კმაყოფილების გრძნობა გამოთქვეს და გადიდებული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს მქსოველებმა ლ. სურგულაძემ, მ. ნათელაშვილმა, საქსოვი საამქროს მქსოველმა თ. ჯიოევამ და სხვა სტახანოველმა ფეიქრებმა.

## შემდგომ განვამტკიცებთ სოციალიზმის ქვეყნის ძლიერებას

—ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა მთავრობა, ხალხთა ბელადი დიდი სტალინი განუწყვეტლივ ზრუნავენ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობისათვის, — ასე დაიწყო თავისი საუბარი ფასების ახალ შემცირებასთან დაკავშირებით თბილისის თამბაქოს მე-2 ფაბრიკის ჰილზების საამქროს უფროსმა, აგიტატორმა ამხ. ი. ახალაძემ. სასურსათო საქონლის ფა- ...

... ვებში გამოხატეს უდიდესი კმაყოფილება და იკისრეს გადიდებული საწარმოო ვალდებულებები.

— უსიხარულო იყო მუშის ხვედრი თვითმპყრობელობისა და მენშევიკური ხელისუფლების ბატონობის წლებში, — განაცხადა თავის სიტყვაში ძველმა მუშამ პელო საგირაშვილმა, — 12-14 საათის სამუშაო დღე, მათხოვრული ხელფასი, სიბნელე და უვიცობა — აი, ...

... შესრულებასთან ერთად მთელი ენერგიით ვიბრძოლო პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის და ამით ჩემი წვლილი შევიტანო საყვარელი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცების საქმეში.

... თ. ნიკოლენკომ, მრავალდაზგოსანმა პ. სახარაძემ, მექანიკოსმა ვ. სიხარულიძემ; ჰილზების საამქროს მრავალდაზგოსანმა მ. პირველოვამ, სტახანოველმა პელო საგირაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც თავიანთ სიტყ- ...

... შემცირებასთან დაკავშირებით. საუბრის შემდეგ სტახანოველმა მრანდავმა ამხ. ბ. ჩიტაიშვილმა განაცხადა:

— სასურსათო საქონლის ფასების ახალი შემცირება საბჭოთა კავშირის სტალინური სამშვიდობო პოლიტიკის მკაფიო დადასტურებაა. საბჭოთა ხალ- ...

... მზრუნველობას ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობისათვის. მაშინ, როცა ამერიკელ-ინგლისელი და ფრანგი იმპერიალისტები უდიდეს სახსრებს ანდომებენ გამალებულ შეიარაღებას, კორეელი, მალაიელი და ვიეტნამელი ხალხების წინააღმდეგ ბარბაროსული ...

## ჩვენი ცხოვრების პირობები ყოველდღიურად უმჯობესდება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ აღფრთოვანებით შეხვდნენ თბილისის საორთქლმავლო დეპოში.

სტახანოველმა ზეინკალმა გ. ხაჭაპურიძემ, რომელიც ყოველდღიურ გეგმას 200-250 პროცენტით ანაღდებს, განაცხადა:

— ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების პირობები, მათი მატერიალური და კულტურული მდგომარეობა განუხრელად უმჯობესდებოდეს. ფასების ახალი, სათვალავით მეხუთე შემცირება ერთხელ კიდევ ადასტურებს ხალხის კეთილდღეობისათვის განუწყვეტელ სტალინურ ზრუნვას. ამ მზრუნველობას ჩვენ ახალი შრომითი წარმატებებით ვუპასუხებთ. ვდგები სტახანოვურ ვახტზე და ვკისრულობ ყოველდღიური დავალება 350 პროცენტით შევასრულო.

სტახანოვურ ვახტზე დადგნენ ზეინკალი ბ. ხმიადაშვილი, ბრიგადირი ს. არუთინოვი, მემანქანეები ს. ელიაშვილი, ა. მამაჯანაშვილი და სხვები.

ფასების ახალ შემცირებასთან დაკავშირებით საამქროებში აგიტატორებმა საუბრები გამართეს.

## სტალინურ მზრუნველობას სტახანოვური შრომით ვუპასუხებთ

მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ ზრუნვას თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები სტახანოვური, თავდადებული შრომით უპასუხებენ. დაზგათმშენებლებში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სასურსათო საქონლის ფასების ახალმა შემცირებამ.

საბჭოთა მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილე- ...

... ხი, რომელიც წარმატებით აშენებს კომუნიზმს, დღითიდღე აძლიერებს ქვეყნის ეკონომიურ ძლიერებას. მაშინ როცა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები განუწყვეტლივ უარესდება, ჩვენი ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის მამობრივ მზრუნველობას იჩენენ ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, დიდი სტალინი. ამ მზრუნველობას პასუხად ჩვენ უფრო გავაძლიერებთ მუშაობას. ვკისრულობ ყოველდღიური ...

# წარმოებაში დავნერგოთ ქვანახშირის უკვამლო წვა მოძრავი ცეცხლის კერით

ღუმელებსა და ორთქლის ქვაბების საცეცხლურებში ქვანახშირის ეკონომიურ წვას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. არსებული ორთქლის ქვაბები ქვანახშირის წვისას გამოყოფილი სითბოს მხოლოდ 50-60 პროცენტს იყენებენ, ხოლო ღუმელები—5-10 პროცენტს. სითბოს დანარჩენი ენერგია უნაყოფოდ იკარგება. სითბოს გამოყენების ასეთი დაბალი პროცენტი ღუმელებსა და ორთქლის ქვაბებში იმით აიხსნება, რომ წვის პრო- ...

... გიური რეჟიმის დროს არ ხორციელდება სრული ქიმიური და მექანიკური წვა, გამოუყენებელი რჩება სითბოს დიდი ენერგია, წვის შეუფერებელი ორგანიზაციის შედეგად გამოიყოფა ბევრი ჭვარტლი და კვამლი.

ხანგრძლივი მუშაობის შედეგად შემუშავებულია ახალი მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელებულ იქნას ქვანახშირის უკვამლო და უჭვარტლო წვა. ეს მეთოდი საგრძნობლად ზრდის სითბოს გამოყენების კოეფიციენტს და ამაღლებს ღუმელებისა და ორთქლის ქვაბების ეკონომიურობას. ახალი მეთოდი ითვალისწინებს წვის განხორციელებას შემდეგი ტექნოლოგიური სქემით: საცეცხლურს ჯერ ქვანახშირით ვავსებთ, შემდეგ ჰაერისა და ორთქლის ნაზავის ქვევიდან დაბერვით ცეცხლს ზემოდან ვაჩაღებთ. ქვანახშირი თანდათან იწვის და ცეცხლის კერა მოძრაობს ზევიდან ქვევით, ამის გამო ზევით რჩება ნაცარი, რომელიც ხელს უწყობს წარმოქმნილი გაზების ზედაპირულ წვას.

ამრიგად, ქვანახშირის შრე საცეცხლურში უძრავია და იწვის მოძრავი ცეცხლის კერით ზევიდან ქვევით. წვის ინტენსივობის რეგულირება წარმოებს არა ქვანახშირის არევით და საცეცხლურში დამატებითი ქვანახშირის ჩაყრით, არამედ ორთქლისა და ჰაერის ნაზავის დაბერვის რეგულირებით უბრალო ფარის მეშვეობით. წვა საჭირო ინტენსივობით გრძელდება მანამდე, სანამ მთლად არ ამოიწვება საცეცხლურში ჩაყრილი ქვანახშირი და ამ ხნის განმავლობაში (8-10 საათი), იშვიათ გამონაკლისს გარდა, საჭირო აღარ არის საცეცხლურში დამატებითი ქვანახშირის ჩაყრა, მისი არევა და ნაცრისაგან გაწმენდა. წვა მიმდინარეობს უკვამლოდ და უჭვარტლოდ.

ამ მეთოდის საფუძველზე შექმნილია ორკამერიანი, რესორული სამჭედლო ღუმელები და სპეციალური ღუმელი წვრილი დეტალების ცხელი დატვიფრისათვის. ამ ღუმელების როგორც კონსტრუქცია, ისე მათში წვის ორგა- ...

ნიზაცია ... მიღწევად. წინანდელ ღუმელებთან შედარებით მათი წარმადობა ორჯერ დიდია, 30-40 პროცენტს აღწევს სითბოს მარგი გამოყენება, ნაცვლად წინანდელი 5-10 პროცენტისა, ამასთან 50 პროცენტით ნაკლები საწვავი იხარჯება.

ახალი კონსტრუქციის ღუმელებმა ფართო გამოყენება ჰპოვა რკინიგზის დეპოებსა და სახელოსნოებში. ...

... სახურებელ რკინას აწყობენ, მალე იწვებოდა. ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი ინჟინრის ი. მარინაშვილის წინადადებით ქვედს გაუკეთდა მაცივარი მილები. საორთქლმავლო სამსახურის მთავარი ინჟინრის მ. გრიგოლაშვილის ინიციატივით გავადიდეთ ღუმელის ბუნკერის დიამეტრი, თბილისის საორთქლმავლო დეპოს მთავარი ინჟინრის მ. კაციტაძის წინადადებით კი გავადიდეთ გაზების გამწოვი ქოლგა და შევცვალეთ მისი კონფიგურაცია.

ამჟამად ახალი კონსტრუქციის ღუმელები წარმოებაში დასანერგავად მიღებულია ლენინგრადის, ხარკოვის და ალმა-ატის ვაგონშემკეთებელ ქარხნებში.

უკვამლო წვის პროცესის შემდგომმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ეს მეთოდი შეიძლება განვახორციელოთ ორთქლის ქვაბების საცეცხლურებშიც. კარგი შედეგი მოგვცა შუხოვის ვერტიკალურ ქვაბზე ცდების ჩატარებამ. ქვანახშირის ერთი ჩატვირთვით ქვაბი 7-8 საათს მუშაობს, 20-30 პროცენტით მცირდება საწვავის ხარჯვა და თითქმის ერთისამად იზრდება ორთქლის მიღება ხურების ფართის ერთეულზე.

წელს განზრახული გვაქვს უკვამლო წვაზე გადავიყვანოთ თბილისის მაუდკამვოლის ფაბრიკის ორთქლის ქვაბები. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ინჟინრების დახმარებით მუშაობას შევუდექით ორთქლმავლების გადასაყვანად უკვამლო წვაზე.

საჭიროა უფრო სწრაფად დავნერგოთ ქვანახშირის უკვამლო წვა მოძრავი ცეცხლის კერით. ეს საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ თბოდანადგართა წარმადობა და ეკონომიურობა, საგრძნობლად შევამციროთ საწვავის ხარჯვა და ფაბრიკა-ქარხნების საამქროებსა და მიდამოებში აღმოვფხვრათ კვამლი და ჭვარტლი.

**დოცენტი ა. ვაშაკიძე**
რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა თბილისის ინსტიტუტის თბოტექნიკის კათედრის გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

პარტიულ თემაზე

# ინტელიგენცია და პარტიის რაიკომი

წლითიწლობით იზრდება სახალხო განათლების, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი ლენინგორში. სკოლა, საექიმო დაწესებულება, კლუბი, სამკითხველო არის რაიონის ცენტრს ყველაზე დაშორებულ სოფლებშიც კი — ძიმირსა და უკანამხარეში, ლარგვისსა და ქარჩოხში.

რაიონის სახალხო განათლების კეთილშობილურ საქმეს ემსახურება 380 მასწავლებელი. ინტელიგენციის ათობით მოწინავე წარმომადგენელი მუშაობს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ხელმძღვანელობს რაიონის სოფლის მეურნეობის უმნიშ- ...

... მა ინტელიგენციისათვის მოაწყო რამდენიმე ლექცია საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

რაიკომის დახმარებით ინტელიგენციას მტკიცე კავშირი აქვს დამყარებული სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან და ჩვენი რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან. ბევრი ინტელიგენტი დაუსწრებლად იღებს უმაღლეს განათლებას. უმაღლესი სასწავლებელი დაუსწრებლად დაამთავრეს სახალხო განათლების მუშაკებმა ი. თედეევმა, გ. ალბოროვმა, გ. ხარებოვმა და სხვ.

სტალინირის პედაგოგიურ ინსტიტუტს მალე დაამთავრებენ სოფლის ...

ზანგურაშვილი კონსულტანტად დაამტკიცეს. ამ დავალების შესრულებაში მას სისტემატურ დახმარებას უწევს რაიკომი. საკონსულტაციო ჯგუფებს უნარიანად ხელმძღვანელობენ სახალხო განათლების დარგის მოწინავე მუშაკები ო. ჩიბირაშვილი, ალ. ჩერტკოევი და სხვ. მასებში კარგი ავტორიტეტით სარგებლობენ პროპაგანდისტი მასწავლებლები ბ. დურგლიშვილი, გ. ცხომელიძე, ი. თედეევი, ქ. ნიაური.

სასკოლო და ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობით, მათდამი ხელმძღვანელობის სისტემატური გაუმჯობესებით პარტიის რაიკომი უფრო ახლო მიდის ინტელიგენციასთან, ღრმად, საფუძვლიანად სწავლობს ადამიანების საქმიან თვისებებს, ავითარებს მათს აქტივობას.

ზაყორის სასოფლო საბჭოს ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის ...

... ბი სოფლის მოწინავე მასწავლებლებს თავიანთ მეგობრებად თვლიან. შემთხვევითი როდია, რომ ბრიგადები, სადაც რ. ხრიკული და გრძელიძე აგიტატორებად მუშაობენ, ყოველმხრივ მზად არიან საგაზაფხულო სასოფლო-სამეურ- ...

განიზაციებს და რაიკომს შორის, ამხ. შერმადინი წარმატების მოსაპოვებლად გონივრულად იყენებს ადამიანებთან მუშაობის იმ გამოცდილებას, რაც მან თავისი სამსახურებრივი მოვალეობისა და პარტიულ დავალებათა შესრულე- ...

რაიკომმა უფრო მეტად უნდა გააძლიეროს მუშაობა ინტელიგენციასთან, უფრო ახლოს მივიდეს მასებთან, ახალ, შემდგომ საფეხურზე აიყვანოს პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, რაც რაიონის წინაშე დასახული სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაჭრის პირობაა.

**ვლ. გელაშვილი**
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

# რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე

## უკრაინელ და ქართველ ფიზკულტურელთა შეჯიბრება

უკრაინის სსრ პოლტავის ოლქის მირგოროდის რაიონის ფიზკულტურელებმა საქართველოს სსრ თბილისის ოლქის მცხეთის რაიონის ფიზკულტურელებს მიმართეს წინადადებით—გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის. მირგოროდელთა ამ წინადადებას დიდი სიხარულით შეხვდნენ მცხეთის რაიონის ფიზკულტურელები. გაზეთმა „ლელომ“ დაბეჭდა მირგოროდის რაიონის ფიზკულტურელთა წერილი და მცხეთის რაიონის ფიზკულტურელთა პასუხი უკრაინელი მეგობრების წინადადებაზე.

მირგოროდის რაიონის ფიზკულტურელები თავიანთ წერილში წერენ:

**„ჩვენ, მირგოროდის რაიონის ფიზკულტურელებს, გვსურს ვიქონიოთ თქვენთან, მცხეთის რაიონის ფიზკულტურელებთან, უფრო მჭიდრო კავშირი, გავუზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება, უფრო გავაფართოოთ და განვამტკიცოთ მეგობრობა. ჩვენ გვსურს ვიქონიოთ თქვენთან მეგობრული სასპორტო შეხვედრები და გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება უფრო მაღალი სასპორტო მიღწევების მოპოვებისათვის დედასამშობლოს სასახელოდ“.**

მირგოროდელმა ფიზკულტურელებმა იკისრეს მთელი რიგი ახალი ვალდებულებანი, მათ შორის ფიზკულტურელთა საკავშირო დღისათვის მშთ ნიშნოსანთა და თანრიგოსან-სპორტსმენთა მომზადების წლიური გეგმების შესრულება.

მცხეთელი ფიზკულტურელები, რომლებმაც მიიღეს მირგოროდელ ფიზკულტურელთა გამოწვევა, საპასუხო წერილში წერენ:

**„საქართველოს სსრ თბილისის ოლქის მცხეთის რაიონის ფიზკულტურელთა აქტივის კრება, გაეცნო თქვენს წერილს და გითვლით ძმურ სალამს, ერთხმად ვიღებთ თქვენს წინადადებას სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დადებისა და ურთიერთშორის ფიზკულტურული მუშაობის გამოცდილების გაზიარების შესახებ. გთხოვთ გამოგვიგზავნოთ სოციალისტური ხელშეკრულების პროექტი“.**

მცხეთის რაიონის ფიზკულტურელებმა მირგოროდელებს გააცნეს თავიანთი წარმატებანი ფიზკულტურისა და სპორტის საქმეში, აგრეთვე მომავალი მუშაობის პროგრამა.

უკრაინელ და ქართველ ფიზკულტურელთა შეჯიბრება ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობის მკაფიო მაჩვენებელია. გაზეთ „ლელოს“ ამოცანაა ფართოდ გააშუქოს ამ შეჯიბრების მიმდინარეობა.

## დახმარება ომისა და შრომის ინვალიდებს

**ლანჩხუთი.** (საკ. კორ.). ლანჩხუთის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ 1951 წელს ომისა და შრომის ინვალიდებს პენსიის სახით მისცა 3.845.000 მანეთი და ერთდროულ დახმარებად 40.000 მანეთი.

1952 წელს ომისა და შრომის ინვალიდებისათვის დახმარების გასაწევად ნავარაუდევია საგრძნობლად მეტი თანხის გაცემა.

# რატომ ჩამორჩა აჭყვის კოლმეურნეობა

სერიოზულად ჩამორჩა ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. მ. პაპუნაშვილი). კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითად წყაროს ჩაის კულტურა წარმოადგენს, მაგრამ ჩაის პლანტაციების სათანადო მოვლას ყურადღება არ ექცევა. ამის გამო შარშან გეგმით გათვალისწინებულზე ნაკლები ჩაის ფოთოლი მიიღეს.

განიავებულია გასული წლის სიმინდის მოსავალი. 12 ჰექტარზე 166 ცენტნერის ნაცვლად მიიღეს 18 ცენტნერი, ანუ ჰექტარზე 1,5 ცენტნერი. თითოეულ ჰექტარზე დახარჯულია 50-მდე შრომადღე, რაც 1.400 მანეთს შეადგენს, ანუ კილოგრამი სიმინდი კოლმეურნეობას 14 მანეთი დაუჯდა. მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიტაცეს კოლმეურნეებმა ნ. ლორთქიფანიძემ, ე. ზოიძემ, რ. აბაშიძემ და სხვებმა.

კოლმეურნეობაში დაიტაცეს ხეხილის მოსავალი. 100 ცენტნერი ვაშლისა და ხურმის ნაცვლად შემოსავალში გატარებულია მხოლოდ 27 ცენტნერი. ყურადღება არ ექცევა ციტრუსოვანთა პლანტაციების მოვლას. გასულ წელს მეორე ბრიგადაში უყურადღებობის გამო პირუტყვმა 125 ძირი ნარგავი დააზიანა.

კოლმეურნეობაში დაბალია შრომის დისციპლინა. ირღვევა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება. გასული წლის ფულადი შემოსავლიდან შრომადღეებზე განაწილებულია მხოლოდ 56 პროცენტი.

შრომადღეების წესიერად ხარჯვას ყურადღება არ ექცევა. შარშან გეგმით გათვალისწინებული 36.000-ის ნაცვლად დახარჯულია 39.000 შრომადღე, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა შრომადღის ღირებულება. ირღვევა შრომადღეების დარიცხვისა და შრომის წიგნაკებში ჩაწერის დაწესებული ვადები.

მოუწესრიგებელია კოლმეურნეებთან ანგარიშსწორება. გამგეობისა და ბუხჰალტერიის დაუდევრობის შედეგად ზოგიერთ კოლმეურნეზე ათასობით მანეთი დავალიანება ირიცხება. დიდია კრედიტული და დებიტორული დავალიანება. ვინმე ო. ფაღავაზე დღემდე ირიცხება 16.183 მანეთი. ის მივლინებული იყო თავის დამამზადებლად ქობულეთის რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგების, მათ შორის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის ამხ. უ. მეფარიშვილის მიერ. „ნდობით აღჭურვილმა“ ფაღავამ მარტო ამ კოლმეურნეობიდან შეძლო შარშან მიეღო 54.000 მანეთი. აქედან ხელზე მისცეს 24 ათასი მანეთი, ხოლო დანარჩენი გაუფორმეს აკრედიტივით საგარეჯოს სოფლის კოოპერატივზე. მასზევე ჯერ კიდევ 1949 წლიდან ირიცხება ორი ათასი მანეთი. ნაღდად მიღებულ 24.000 მანეთთან ერთად მან საგარეჯოს სოფლის კოოპერატივიდან მოასწრო აკრედიტივით მიეღო 8.400 მანეთი. თავად კი გამოგზავნა 18.320 მანეთისა. დანარჩენი თანხა 16.183 მანეთი დღემდე მასზე ირიცხება. ფაღავამ ამ გზით სხვა კოლმეურნეობებიდანაც მიიღო ათეულ ათასობით მანეთი. ამასთან დაიტაცა დიდძალი საშენი მასალა. კოლმეურნეობის ყოფილმა ბუხჰალტერმა ე. პატარაიამ 8.106 მანეთი გაიტაცა.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, კოლმეურნეობის მიერ სასამართლო პასუხისგებაში გადაცემული დებიტორების შესახებ აღმასრულებელ ფურცლებს ქობულეთის მეორე უბნის სახალხო სასამართლო თვით კოლმეურნეობას უგზავნის.

უმოქმედობას იჩენს კოლმეურნეობის სარევიზიო კომისია, რომელმაც შარშან წლის ბოლოს ერთხელ ფორმალურად მოახდინა რევიზია. კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. ჯაფარიძე) ფორმალურად იხილავს საკოლმეურნეო ცხოვრების საკითხებს, ერიდება საქმიანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას.

ქობულეთის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ აჭყვის კოლმეურნეობის ეკონომიკა, ანალიზი გაუკეთონ ჩამორჩენის მიზეზებს და უზრუნველყონ კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება.

**დ. პაიჭაძე**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

## „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

# „ერთი ფაბრიკის გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობანი“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 1952 წლის 7 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო ბათუმის ორჯონიკიძის სახელობის მე-5 სამკერვალო ფაბრიკის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტი გვაცნობებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ფაბრიკის მე-17 და მე-18 აგრეგატებმა ვერ შეასრულეს 1951 წლის გეგმა. შარშან 40-ს ნაცვლად გამოშვებულ იქნა მხოლოდ 30 სახის პროდუქცია. საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა ფაბრიკის მუშაობის საკითხი და მიიღო ღონისძიებანი მხილებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ცუდი მუშაობისათვის საწარმოს დირექტორს და მთავარ ინჟინერს დაედოთ სასჯელი.

მიღებულ ღონისძიებათა განხორციელებით ფაბრიკამ გააუმჯობესა მუშაობა და თებერვლის საწარმოო გეგმა 105 პროცენტით შეასრულა.

## ჩვენ გვწერენ

# დაუდევრობა თუ უცოდინარობა

ჩვენმა პრესამ და საზოგადოებრიობამ არაერთგზის მიუთითა „გლავკინოპროკატის“ საქართველოს კანტორის მუშაკებს, რომ ისინი სათანადო ყურადღებას არ აქცევენ რეკლამებისა და აფიშების სიზუსტეს.

ზოგიერთი აფიშა დაბალ დონეზე დგას როგორც შესრულებით, ისე ტექნიკურად. ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ქართული წერისათვის დამახასიათებელ კალიგრაფიას. ხშირად თვალს მოგვჭრის არაზუსტი წარწერები, არასწორი თარგმანები და მართლწერის დარღვევის შემთხვევებიც.

რუსთაველის სახელობის კინოთეატრის ვიტრინაში ასეთი რუსული აფიშა იყო გამოკრული — **„Познакомтесь с императорским двором микадо“**. აქ პირველ სიტყვაში შეცდომაა, უნდა იყოს **„Познакомьтесь“**.

ეს კიდევ არაფერი. კინოთეატრის მეორე სართულზე გამოკრულია სტენდი, რომელზეც გამოსახულია ქვეყნები, რომლებთანაც ურთიერთობა აქვს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას. აქ წააწყდებით ასეთ მაგალითებს: „ვენგრია“, „ბოლგარია“, „ვრბნო“, „პოზნენ“, „ტირანი“.

გამოკრული იყო აგრეთვე უზარმაზარი აფიშა წარწერით: „სიმართლე კარგია და ბედნიერება უკეთესი“. რუსულად ასეა: **„Правда хорошо, а счастье лучше“**. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ არა. ზემოთმოყვანილი ქართული წარწერა საკმაოდ დაშორებულია ა. ოსტროვსკის ამავე სახელწოდების პიესის შინაარსს. საჭირო იყო ასე ეთარგმნათ: „სიმართლე კარგია, ბედნიერება კი უკეთესი“.

კინოსურათის სათაური — **„Познакомьтесь с императорским двором микадо“** — ერთ რითმების მოყვარულ „მთარგმნელს“ ასე უთარგმნია:

„გაეცანით მიკადოს,
საიმპერატორო მიდამოს“.

ამგვარად, მიკადოს საიმპერატორო კარი მიდამოდ გადაიქცა კინოთეატრ „ისანის“ აფიშების უხეირო მთარგმნელის ხელში.

კინოთეატრების ხელმძღვანელებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მშობლიური ენის სიწმინდის დაცვას.

**ნ. გურაბანიძე, ვ. კიკნაძე**

# „საბავშვო წიგნის კვირეული“ ქუთაისში

**ქუთაისი.** (საკ. კორ.). წარმატებით ჩაიარა „საბავშვო წიგნის კვირეულმა“. სკოლებსა და საბავშვო ბიბლიოთეკებში მოეწყო მოსწავლეთა ლიტერატურული დილები, მოთხრობებისა და ლექსების კოლექტიური წაკითხვა და განხილვა, საუბრები საბჭოთა საბავშვო მწერლების საკითხებზე, ახალგაზრდა მკითხველების შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან.

მასობრივ-ორგანიზაციულმა ღონისძიებებმა დიდად შეუწყო ხელი ლიტერატურისადმი ბავშვთა ინტერესის ზრდას. „საბავშვო წიგნის კვირეულის“ რამდენიმე დღის განმავლობაში ქალაქში წიგნის სავაჭრო ორგანიზაციებმა 10.000-ზე მეტი მანეთის საბავშვო ლიტერატურა გაყიდეს.

# ვიხსნათ კაცობრიობა ბაქტერიოლოგიური ომის საშიშროებისაგან!

## რუსთაველის თეატრის მუშაკთა პროტესტი

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივის საპროტესტო მიტინგი, მიმართული ამერიკელ იმპერიალისტთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, შესავალი სიტყვით გახსნა თეატრის ადგილკომის თავმჯდომარემ, მსახიობმა გ. ნავროზაშვილმა.

სიტყვა ითხოვა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა აკაკი ხორავამ.

— მსოფლიოში არ არის, — ამბობს ორატორი, — არც ერთი მშვიდობისმოყვარე ადამიანი, ვისაც პროტესტის ხმა არ აღემაღლებინოს ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც სხვადასხვა ინფექციურ ავადმყოფობათა ბაქტერიებით ღასნებოვნებულ მწერებს აყრიან მშვიდობიან კორეელ და ჩინელ მოსახლეობას. ამერიკელების ეს საშინელი პროვოკაცია ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მათ ჩაეფუშათ თავიანთი ბოროტი განზრახვა—მონობის უღელი დაადგან გმირ კორეელ ხალხს, რომელმაც სულ რამდენიმე წლის წინათ მოიპოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

საბჭოთა სამეცნიერო დაწესებულებებში გაჩაღებულია დაუღალავი მუშაობა ადამიანთა სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის, სხვადასხვა შემოქმედებითს ორგანიზაციებში წყდება მრავალი საინტერესო პრობლემა, რომლებიც წინ სწევენ მეცნიერებასა და ტექნიკას. თეატრის მუშაკები დაუღალავად იღწვიან ხალხისათვის საყვარელი გმირების, მშვიდობისმოყვარე, კომუნიზმის მშენებელი ადამიანების განსახიერებისათვის; ამერიკელი „მეცნიერები“ კი ადამიანთა მასობრივად გაჟლეტის იარაღის გამოგონებით არიან გართულნი. ამერიკელებს სურთ გააფართოონ ომი აღმოსავლეთში, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩაითრიონ ომში. ამიტომ არის, რომ სულ ახალ და ახალ პროვოკაციებს მიმართავენ.

— ჩვენ, თეატრის მუშაკები,—განაგრძობს ხორავა, — მრისხანე პროტესტს ვაცხადებთ ამერიკელი აგრესორების წინააღმდეგ.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის წევრი აკაკი ვასაძე აღშფოთებით ლაპარაკობს ამერიკელ ყაჩაღებზე, რომლებიც არღვევენ საერთაშორისო შეთანხმებებს და იყენებენ ბაქტერიოლოგიურ იარაღს კორეელი და ჩინელი მშრომელების მასობრივი ჟლეტისათვის.

— თეატრის მუშაკებში, ისე როგორც ყველა პატიოსან ადამიანში, — თქვა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა თამარ ჭავჭავაძემ, — უდიდეს აღშფოთებას იწვევს ამერიკელ იმპერიალისტთა მოქმედება, რომელნიც ბაქტერიებით სავსე ბომბებს აყრიან უდანაშაულო კორეელ და ჩინელ ქალებსა და ბავშვებს. კიდევ უფრო თავდადებულად ვიშრომებთ ჩვენი დიადი სამშობლოს განსამტკიცებლად, რომელიც მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევი ბურჯია.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე სტალინური პრემიის ლაურეატმა მსახიობმა მედეა ჩახავამ, ახალგაზრდა მსახიობებმა მერი მიქელაძემ და ს. აპრესიანმა.

მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი პირობას იძლევა დაუღალავად იმუშაოს საბჭოთა სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

# ჩაფუშოთ ამერიკელ აგრესორთა შავბნელი ზრახვები

**ზესტაფონი.** (საკ. კორ.). კორეასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში ამერიკელ დამპყრობთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებამ ღრმა აღშფოთება გამოიწვია რაიონის მშრომელთა შორის.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კრებაზე სიტყვით გამოსულმა მდნობელმა ბ. წიქარიშვილმა განაცხადა:

— ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც დანაშაულებრივ ომს ეწევიან კორეაში და რომელთა გეგმები სამარცხვინოდ იფუშება, ახალ-ახალ პროვოკაციებს მიმართავენ; ისინი ცდილობენ ბაქტერიოლოგიური ომის გზით თავი დააღწიონ სამარცხვინო დამარცხებას. მაგრამ მათს ამ მორიგ ვერაგულ გეგმებს ჩაფუშავს მშვიდობისმოყვარე მილიონობით ადამიანთა ღონისძიებანი.

— ამერიკელი იმპერიალისტები უდიდეს დანაშაულს სჩადიან კორეელი და ჩინელი ხალხის მიმართ, მოვითხოვთ მათი დანაშაულებრივი მოქმედების დაუყოვნებლივ აღკვეთას, — განაცხადა ორგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა ნ. ქათამაძემ.

სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა, სოციალისტური შრომის გმირმა გ. კვანტრიშვილმა თქვა:

— ჩვენ, კოლმეურნეები, უდიდეს აღშფოთებას გამოვთქვამთ კორეაში ამერიკელი აგრესორების ბოროტმოქმედებათა გამო, მოვითხოვთ გათავხედებული ამერიკელი სისხლისმსმელების ალაგმვას. ამერიკელ დამპყრობთა ვერაგულ მოქმედებას ჩვენ ვუპასუხებთ გეგმების გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შესრულებით, საწარმოო ფრონტზე ახალ წარმატებათა მოპოვებით.

## აგრონომიული რჩევა-დარიგება

# როგორ მოვუაროთ ხორბლის ნათესებს

ხორბლის მოსავლიანობის გადიდების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ნათესების მოვლის ღონისძიებებს. თბილისის ოლქის მთელ რიგ ადგილებში, მცირე ნალექების გამო, ზამთრის პერიოდში ნიადაგში დაგროვილი ტენის შენარჩუნებისათვის ჯეჯილის გაზაფხულზე დაფარცხვა სავალდებულო ღონისძიებად ითვლება. ნიადაგის ზედაპირის ფარცხით გაფხვიერების შედეგად ტენის ამოშრობის პროცესი მცირდება, ნათესი იწმინდება მცენარეული ნარჩენებისაგან, ისპობა დაუფესვიანებელი სარეველა მცენარეები. უკეთესი ეფექტის მისაღებად ეს ოპერაცია უმჯობესია მოეწყოს ადრე გაზაფხულზე თოვლის აღებისთანავე, როგორც კი შეშრება ნიადაგის ზედაპირი და შესაძლებელი ხდება მინდორში მუშაობის გაჩაღება. დაგვიანების შემთხვევაში ნათესში ნიადაგის ზედაპირზე გაჩენილი გამხმარი ქერქი დაფარცხვის პროცესში დიდ ნაჭრებად იმტვრევა და ახლად აღმოცენებული და მოუმაგრებელი მცენარეები ადვილად იგლიჯება, ნათესი მეჩხერდება, მოსავალი მცირდება. მრავალი მონაცემებით და სამეურნეო პრაქტიკით დადგენილია, რომ ჯეჯილის დროზე დაფარცხვა მოსავლიანობას ჰექტარზე 1-2 ცენტნერით ადიდებს.

მოსავლის გადიდების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ჯეჯილის გამოკვებას ანუ დამატებითი სასუქის შეტანას. საშემოდგომო ნათესები ზამთრის შემდეგ დასუსტებულია. ამის გამო მცენარე ზრდა-განვითარების განახლების პერიოდში საკვებ ნივთიერებას საჭიროებს ადვილად შესათვისებელი ფორმით. ადრე გაზაფხულზე გამოკვების მიზნით შეტანილ სასუქებს მცენარე სწრაფად ითვისებს და დიდ ეფექტსაც იძლევა. მემინდვრეობის ინსტიტუტის მიერ კოლმეურნეობებში მოწყობილი ცდებით გამოირკვა, რომ ძირითადი განოყიერების შემდეგ ადრე გაზაფხულზე შეტანილმა აზოტმა ჰექტარზე 20-30 კილოგრამი მოქმედი ნივთიერების ანგარიშით ხორბლის მოსავალი გაადიდა სოფელ წრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (ხაშურის რაიონი) 3,3 ცენტნერით, სოფელ კოთელიას ჩოდრიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში (ახალქალაქის რაიონი) 13,2 ცენტნერით, სოფელ ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში (თელავის რაიონი) 13,9 ცენტნერით. გასულ წელს ეს ღონისძიება ჩვენს რესპუბლიკაში დიდ ფართობზე განხორციელდა და მოგვცა რამდენიმე ათეული ათასი ფუთი ხორბლის დამატებითი მოსავალი.

მემინდვრეობის ინსტიტუტის ცდების მიხედვით თბილისის ოლქის ურწყავ რაიონებში საშემოდგომო ხორბლის გამოკვება უმჯობესია მოეწყოს ერთხელ და ადრე გაზაფხულზე, ხოლო სარწყავ და ტენიან რაიონებში გამოკვება შესაძლებელია ორჯერაც მოეწყოს. სველ ნათესში სასუქის შეტანა დაუშვებელია, რადგანაც ამ შემთხვევაში შესაძლებელია სასუქმა მცენარის ფოთოლი დააზიანოს. მეორე და მესამე გამოკვება საჭირო შემთხვევაში უნდა მოეწყოს მცენარის აღერების დაწყებამდე. გამოსაკვებად შესატანი სასუქების შემადგენლობა და დოზები ნიადაგის სხვაობისა და ნათესის მდგომარეობის მიხედვით უნდა დაწესდეს. საშემოდგომო ნათესების გამოსაკვებად, გარდა მინერალური სასუქებისა, საჭიროა გამოყენებულ იქნას ადგილობრივი სასუქები: ფრინველის ნაკელი, წუნწუხი, ნაცარი და სხვ.

სარეველა მცენარეები მნიშვნელოვნად ამცირებენ ხორბლის მოსავალს. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთ საიმედო საშუალებას წარმოადგენს ჯეჯილის გამარგვლა. საშემოდგომო ხორბლის ნათესის გამარგვლა საჭირო შემთხვევაში შემოდგომის პერიოდშიც წარმოებს. მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ საშემოდგომო ნათესების შემოდგომით გამარგვლა მოსავლის გადიდებასთან ერთად ზრდის ნათესის გამძლეობას ზამთრის პერიოდში. გაზაფხულზე მეტი ეფექტის მიღების მიზნით ეს სამუშაო უნდა დაიწყოს რაც შეიძლება ადრე და აღერების დაწყებამდე ჩატარდეს 2-3-ჯერ მაინც. მარგვლის დროს სარეველა ბალახები ფესვიანად უნდა ამოიგლიჯოს და გატანილ იქნას მინდვრიდან. გარდა ამისა, სარეველების მოსასპობად საჭიროა ზაფხულის განმავლობაში მეჯნების, რუს ნაპირისა და სხვა ადგილების სისტემატურად გათიბვა.

ხორბლის მორწყვა როგორც მოსავლიანობის გადიდების ღონისძიება, ფართოდ უნდა გამოვიყენოთ. მრავალი მონაცემის მიხედვით ორი სავეგეტაციო მორწყვა უკეთეს შედეგს იძლევა. მორწყვის კალენდარულ ვადებში განაწილება დამოკიდებულია მცენარის ზრდა-განვითარების პერიოდში ნალექების დეკადურ განაწილებაზე. ხორბლის განვითარების ფაზების მიხედვით მორწყვა უმჯობესია მოეწყოს ბარტყობის დამთავრების, დათავთავების და მარცვლის ჩასხმის პერიოდში. მორწყვის ეს ვადები შეიძლება შეიცვალოს ნალექების განაწილებით. ამ ვადებში მორწყული ხორბალი ბევრად უფრო მეტ მოსავალს იძლევა.

მიუხედავად ამ ღონისძიებების დიდი მნიშვნელობისა, ზოგან ნათესების დაფარცხვასა და გამოკვებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. თბილისის ოლქის დაბლობ რაიონებში ნათესების დაფარცხვა და გამოკვება ჯერ დასრულებული არ არის.

ხორბლის მოსავლიანობის გადიდების საქმეში გადამწყვეტი როლი ენიჭება აგროტექნიკურ ღონისძიებათა სრულ და სწორ განხორციელებას. ამოცანა ის არის, რომ აღვკვეთოთ უდარდელი დამოკიდებულება ხორბლის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა განხორციელებისადმი, წელს მოვიყვანოთ ხორბლის უხვი მოსავალი და მით ახალი ნაბიჯი გადავდგათ წინ საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის ამოცანის განხორციელების გზაზე.

**მ. დალაქიშვილი**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის ინსტიტუტის დირექტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი

# ბალჩეული კულტურების თესვის ძირითადი საკითხები

გოგრის, კიტრის, საზამთროს და ნესვის, ისევე როგორც ყველა სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ადრეული, უხვი მოსავლის მისაღებად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ვადებში და როგორ დავთესავთ.

მრავალი ცდით და მებაღჩეობის მოწინავე პრაქტიკით დამტკიცებულია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ ზონაში საზამთრო და ნესვი აპრილის შუა რიცხვებში — 10-დან 25-მდე უნდა ვთესოთ, ხოლო გოგრა და კიტრი — გაცილებით ადრე და არაუგვიანეს აპრილის დასაწყისისა.

ცდებით და მოწინავე პრაქტიკით აგრეთვე დამტკიცებულია დათესვისთანავე ბუდნების და, თუ ნიადაგი მშრალია, დათესვის წინ მთელი ნაკვეთის მორწყვის აუცილებლობა. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენში აპრილი მინიმალური ნალექებით ხასიათდება და დათესილი ბუდნების გამოშრობის შედეგად გაღივებული თესლის ნაწილი იღუპება, ხოლო აღმონაცენი სუსტი და მცირემოსავლიანია. მაგალითად, 1950 წელს გურჯაანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში თითქმის მთელი ბაღჩა დაზიანდა მხოლოდ იმის შედეგად, რომ არც ნაკვეთი და არც დათესილი ბუდნები დათესვისთანავე არ მორწყეს; ნიადაგი გამოშრა, ნათესის დიდი ნაწილი დაიღუპა, ხოლო აღმონაცენი მეტად სუსტი და მცირემოსავლიანი იყო. ამ საშიშროებას თავიდან ავიცილებს დათესვის წინ მშრალი ნაკვეთისა და დათესილი ბუდნების აუცილებლად მორწყვა (ნიადაგში ნორმალური ტენიანობის დროსაც კი).

ძლიერ კარგ სამეურნეო ეფექტს იძლევა გამთბარ ოთახში ან მზეზე 5-6 დღის განმავლობაში თესლის გამშრობა (გაფიცხება), თესვის წინ დალბობა და 0,1 პროცენტიანი სულემის ხსნარით ან ფორმალინით შეწამვლა.

საჭიროა დავთესოთ ღრმად მოხნულ, კარგად გაწმენდილ, ღრმად გაფხვიერებულ და გასწორებულ ნიადაგზე. რქიანი პირუტყვის გადამწვარი სალი ნაკელით და სუპერფოსფატით გაპატივებულ ბუდნებში უნდა დავთესოთ მხოლოდ დარაიონებული მაღალხარისხოვანი ადგილობრივი ჯიშები.

**ვ. ესიტაშვილი**

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

# მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სესია ოსლოში

**ოსლო,** 29 მარტი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურომ, რომლის სესია დღეს გაიხსნა ოსლოში, პრესისათვის შემდეგი კომუნიკე გადასცა:

„დღეს, 1952 წლის 29 მარტს, ოსლოში ბ-ნ ჟოლიო-კიურის თავმჯდომარეობით გაიხსნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სესია.

თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს ყველა წევრს და განსაკუთრებით კორეისა და ჩინეთის დელეგატებს, რომლებმაც ილაპარაკეს დიდი შეშფოთების გამომწვევ საკითხზე ბაქტერიოლოგიური ომის შესახებ. ბ-ნმა ჟოლიო-კიურიმ ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე ბიუროს ამ სესიის მნიშვნელობა.

მშვიდობის დაცვის სრულიად ნორვეგიის კომიტეტის თავმჯდომარემ ქ-ნმა ჰანსტეენმა მადლობა გადაუხადა ბიუროს, რომელმაც ამ საარსებოდ მნიშვნელოვანი პრობლემების განხილვის ადგილად ოსლო აირჩია.

სამდივნოს საქმიანობის შესახებ მოხსენება წარმოადგინა ბ-ნმა ჟან ლაფიტმა. შემდეგ სიტყვა მიეცა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარეს ბ-ნ გო მო-ჟოს. ჩინეთის დელეგაციის სახელით ბ-ნმა გო მო-ჟომ გააკეთა ამაღელვებელი და დასაბუთებული მოხსენება ბაქტერიოლოგიური ომის შესახებ, რომელიც კორეიდან ჩინეთზე ვრცელდება.

ჩინეთის დელეგატის მოხსენებას მოჰყვა ცნობა ბ-ნ ლი გი ენისა, რომელიც მშვიდობის დაცვის კორეის კომიტეტის წარმომადგენელია. დისკუსიაში, რომელიც გაგრძელდება საღამოს სხდომაზე და ხვალ, გამოვიდნენ ბ-ნი ჟოლიო-კიური და ბ-ნი პიერ კოტი, ფადეევი და ლომბარდი.

სესიას ესწრებიან:

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს ვიცე-თავმჯდომარეები გაბრიელ დ' არბუსიე (შავკანიანი აფრიკა), ალექსანდრე ფადეევი (სსრ კავშირი), გო მო-ჟო (ჩინეთი), ეჟენი კოტონი (საფრანგეთი), პროფესორი ლეოპოლდ ინფილდი (პოლონეთი), არტურ ლუნდკვისტი (შვეცია); მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს წევრები: იზაბელა ბლუმი (ბელგია), პიერ კოტი (საფრანგეთი), ილია ერენბურგი (სსრ კავშირი), პროფესორი გრომადკა (ჩეხოსლოვაკია), ლომბარდი (იტალია), ლუი საიანი (საფრანგეთი), ლორან კაზანოვა (საფრანგეთი), მაო დუნი (ჩინეთი), ივ ფარჟი (საფრანგეთი), ალექსანდრე კორნეიჩუკი (სსრ კავშირი), მუკაჟოვსკი (ჩეხოსლოვაკია); მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი ჟან ლაფიტი (საფრანგეთი), მდივნები: ჟილბერ დე შამბრენი (საფრანგეთი), ჯორჯიო ფენოალტეა (იტალია), პ. ვ. გულაევი (სსრ კავშირი), ჯონ დარი (ამერიკის შეერთებული შტატები), უ. რ. ტ. ჰორი (ინგლისი), ემი სიაო (ჩინეთი).

სესიის დამსწრე სტუმართა შორის არიან: ჟაკ დენი (დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია), პაიეტა (იტალია), კლოდ მორგანი (საფრანგეთი), მარიო სოკრატე (იტალია), ლი გი ენი (კორეა), თხენ დონ ხეკი (კორეა), ჩენ სან-ჩანი (ჩინეთი), პასტორი ფორბეკი (ნორვეგია), ქ-ნი კირსტენ ჰანსტეენი (ნორვეგია), იაკობ ფრიისი (ნორვეგია), პროფესორი კრეიბერგი (ნორვეგია)“.

**ოსლო,** 30 მარტი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სხდომაზე დღეს გრძელდებოდა კამათი ბაქტერიოლოგიური ომის შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარის გო მო-ჟოს მოხსენებისა და მშვიდობის დაცვის კორეის კომიტეტის წარმომადგენლის ლი გი ენის მოხსენების გამო. ამ საკითხზე ილაპარაკეს: პროფესორმა ლეოპოლდ ინფილდმა (პოლონეთი), პაიეტამ (იტალია), ჟილბერ დე შამბრენმა (საფრანგეთი), იან მუკაჟოვსკიმ (ჩეხოსლოვაკია), იზაბელა ბლუმმა (ბელგია), დარმა (ამერიკის შეერთებული შტატები), გაბრიელ დ'არბუსიემ (შავკანიანი აფრიკა), ილია ერენბურგმა (სსრ კავშირი).

ამით დამთავრდა აღნიშნული საკითხის განხილვა.

გერმანიის რემილიტარიზაციის საკითხზე ინფორმაცია გააკეთა ივ ფარჟმა (საფრანგეთი). ამ საკითხზე ილაპარაკეს ბლუმმა (ბელგია) და სესიაზე ახლად ჩამოსულმა მშვიდობისათვის მებრძოლ გერმანელთა კომიტეტის წარმომადგენელმა ვილმანმა.

იაპონიის რემილიტარიზაციის საკითხზე მოხსენება გააკეთა მაო დუნმა (ჩინეთი). ამ საკითხზე ილაპარაკეს ჟოლიო-კიურიმ და გო მო-ჟომ.

ეროვნული სუვერენიტეტის საკითხზე მოხსენება გააკეთა ლომბარდიმ.

ხვალ დაიწყება ბიუროს მუშა კომიტეტების სხდომები და განიხილავენ რეზოლუციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 29 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 29 მარტის ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან თანამოქმედებით კვლავ ეწევიან თავდაცვით ბრძოლებს და ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

**ფხენიანი,** 30 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტებთან და ლისინმანელთა ჯარებთან და ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

გუშინ და დღეს ფრონტის აღმოსავლეთ უბანზე მოწინააღმდეგე ტანკების დახმარებით რამდენჯერმე შეეცადა იერიში მოეტანა ჩვენი ჯარების პოზიციებზე, მაგრამ დაზარალდა და უკან დაიხია.

ფრონტის სხვა უბნებზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

დღეს საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო მოწინააღმდეგის 8 თვითმფრინავი იმ თვითმფრინავთაგან, რომლებიც თავს ესხმოდნენ ზურგის რაიონებს.

# მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

**პეკინი,** 30 მარტი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა 29 მარტს კესონიდან გადასცა:

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგის მე-3 პუნქტის განმხილველ შტაბის ოფიცერთა დღევანდელ სხდომაზე ამერიკელებმა წამოაყენეს ახალი საკითხი დაზავების თაობაზე შეთანხმების პროექტის ფორმულირების შესახებ, რითაც ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ საკითხის დედაარსის განხილვა. მათ წამოაყენეს დაუსაბუთებელი მოთხოვნა — შეთანხმების პროექტის კორეულ და ჩინურ ტექსტებში სიტყვა „კორეა" შეიცვალოს სიტყვით „ხან", (ასე უწოდებენ კორეას ლისინმანელი მარიონეტები.—**რედ**), აგრეთვე დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ კორეულ ტექსტში ნაცვლად ტერმინისა „გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალები" შეტანილი ყოფილიყო ტერმინი „საერთაშორისო გაერთიანებული შეიარაღებული ძალები".

კორეისა და ჩინეთის მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელწოდება „კორეის" წარმოშობა შორეულ ისტორიას ეკუთვნის და კორეული სიტყვების ზუსტი აზრი შეთანხმებაში დაზავების შესახებ არ შეიძლება ნებისმიერად შეიცვალოს. ლოგიკის თანახმად დაზავების შესახებ შეთანხმების კორეულ ტექსტში ხმარებულ უნდა იქნას ტერმინის „გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალების" სწორი თარგმანი. მაგრამ, რამდენადაც მეორე მხარე ასე დაჟინებით მოითხოვდა ტერმინის „საერთაშორისო გაერთიანებული შეიარაღებული ძალების" მიღებას, კორეისა და ჩინეთის მხარემ შეიტანა წინადადება ერთბაშად გადაწყვეტილიყო დავა ამ ორი ტერმინის შესახებ, დაეთანხმა რა მეორე მხარის აზრს მის მიერ წარმოდგენილი ტერმინის (შეიარაღებული ძალების შესახებ. **რედ.**) კორეული თარგმანის შესახებ, მაგრამ მოითხოვა, რომ მეორე მხარე, თავის მხრივ, დაეთანხმოს კორეისა და ჩინეთის მხარის მიერ სახელწოდება „კორეის" სწორად ხმარებას.

მაგრამ ამერიკელებმა დღევანდელ სხდომაზე ტყუილუბრალოდ დიდი ხმაური ატეხეს იმის გამო, რომ დაჟინებით მოითხოვდნენ ტერმინ „ხანის" მიღებას. საკითხის დედაარსის განხილვისათვის გვერდის ავლის ამ ტაქტიკამ არ შეიძლება არ ამხილოს მათი წინასწარი განზრახვა გააჭიანურონ მოლაპარაკება.

მე-4 პუნქტის განმხილველი შტაბის ოფიცრების სხდომაზე ორივე მხარე განაგრძობდა აზრთა გაცვლას სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის პრინციპის შესახებ.

უპასუხა რა მეორე მხარის კითხვებზე, კორეისა და ჩინეთის მხარის შტაბის ოფიცერმა განაცხადა, რომ კორეისა და ჩინეთის მხარის სამხედრო ტყვეთა ბანაკების ზუსტი განლაგება ნათლად მითითებული აქვს მეორე მხარეს რუკებზე. სამხედრო ტყვეების ყველა ჩვენს ბანაკს აქვს გარკვეული გამოსაცნობი ნიშნები მიღწეული შეთანხმების შესაბამისად.

კორეისა და ჩინეთის მხარის შტაბის ოფიცერმა აღნიშნა, რომ ამერიკელებმა ორჯერ დაბომბეს და ტყვიამფრქვევი დაუშინეს სამხედრო ტყვეების ჩვენს ბანაკებს მას შემდეგ, რაც მათ მიცემული ჰქონდათ ცნობები სამხედრო ტყვეების ჩვენი ბანაკების ზუსტი განლაგების შესახებ, რომლებსაც გარკვეული გამოსაცნობი ნიშნები აქვთ. ეს იმას მოწმობს, რომ ამერიკელები არ ზრუნავენ ტყვედ მოხვედრილი თავიანთი ჯარისკაცებისა და ოფიცრების უშიშროებისათვის.

# დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის კომისიის მოხსენება

**პეკინი,** 29 მარტი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი მუკდენიდან იუწყება:

დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის კომისიამ დაამთავრა ამერიკელ აგრესორთა მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარების ფაქტების გამოკვლევა.

პირველი მოხსენება მის მიერ წარმოებული გამოკვლევის შედეგების შესახებ, რომელიც დათარიღებულია 28 მარტით, გაეგზავნა დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარეს პრიტს (ლონდონი) და ასოციაციის ვიცე-თავმჯდომარეებს: ზეიდინს (მოსკოვი), შენ ძიუნ-ჟუს (პეკინი), ედლოვსკის (ვარშავა), ტერაჩინის (რომი) და ქ-ნ სუფიუს (ბრიუსელი).

მოხსენებაში ნათქვამია:

„დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის გენერალური მდივნის თხოვნით ჩვენ გამოვიკვლიეთ განცხადება იმის შესახებ, რომ ამერიკის თვითმფრინავები ბაქტერიებსავრცელებენ ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებში. მრავალ შემთხვევათაგან, რომლებიც, როგორც აცხადებენ, 29 თებერვლიდან მოხდა, ჩვენ გამოვიკვლიეთ 10 შემთხვევა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ვრცელი რაიონის სხვადასხვა ადგილას.

გარემოებანი, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში გამოკვლეულ ამ შემთხვევებს შეეხებიან, ისეთივეა, როგორც ჩვენ მიერ კორეაში შესწავლილი გარემოებანი. კერძოდ, ჩვენ აღვნიშნავთ იმ მწერების უჩვეულო ხასიათსა და შექუჩებას, რომლებიც ცოცხალი აღმოჩნდნენ თოვლზე და ყინულზე მეტად დაბალი ტემპერატურის დროს. ვიპოვნეთ ბაქტერიებით დასნებოვნებული ბუზები, მოსკიტები, რწყილები და ბუმბული.

აღმოჩენილ იქნა სპეციალური კონტეინერის (სათავსოს, ტარის. — რედ.) ნამსხვრევები. მიუხედავად ეპიდემიის საწინააღმდეგო ინტენსიური ღონისძიებებისა, აღნიშნულია შემთხვევები მძიმე ავადმყოფობისა, რომელიც ჰგავს ენცეფალიტს, რაც დღემდე ჩინეთში არ ყოფილა. სპეციალისტთა მიერ წარმოებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ამ ავადმყოფობის სიმპტომები ისეთივეა, როგორც იმ ვირუსით გამოწვეული ავადმყოფობისა, რომლის მატარებელია ზოგიერთი ხელოვნურად დასნებოვნებული მოსკიტი, რომლებიც აღმოჩენილ იქნა რაიონში, სადაც აღნიშნულია ამ ავადმყოფობით დაავადების შემთხვევები, რასაც სიკვდილი მოჰყვა. დადგენილია, რომ იმ რაიონებში, სადაც მწერები აღმოჩნდა, დაფრინავდნენ ამერიკის თვითმფრინავები.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ იმ დანაშაულებრივი მოქმედების გავრცელება, რომელიც კორეაში ხდება, სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელიც ომის მდგომარეობაში არ იმყოფება, აგრესიის აქტია ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ, რასაც შეიძლება უაღრესად სერიოზული შედეგები ექნეს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის, თუ მხილებულ არ იქნა და ბოლო არ მოეღო".

მოხსენებას ხელს აწერენ:

ბრანდვაინერი (ავსტრია) — კომისიის თავმჯდომარე.

კავალიერი (იტალია) — ვიცე-თავმჯდომარე.
დე-ბრიტო (ბრაზილია)
გასტერი (ინგლისი)
ჟაკიე (საფრანგეთი)
კე ბი-ნიანი (ჩინეთი)
მოერენსი (ბელგია)
ვასილკოვსკაია (პოლონეთი).

# ამერიკელი აგრესორები განაგრძობენ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ

**პეკინი,** 29 მარტი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი მუკდენიდან იუწყება:

ამერიკის თვითმფრინავები განაგრძობენ ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთზე გადაფრენას და ჰყრიან მრავალ დასნებოვნებულ მწერებსა და მასალებს. ცხრა დღის განმავლობაში 21 მარტამდე ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის საჰაერო სივრცეში შეიჭრა ამერიკის თვითმფრინავთა 71 ჯგუფი—საერთო რიცხვით 318 თვითმფრინავი.

13 მარტს აღმოჩენილ იქნა დასნებოვნებული ობობები, ყურბლები, ბუზები და მოსკიტები, რომლებიც ჩამოყარეს ამერიკის თვითმფრინავებმა ფუშუნში, ფუსინში, მუკდენში, გირინსა და საპინგაში.

14 მარტს ამერიკის 17 თვითმფრინავი ხუთ ჯგუფად შეიჭრა დადუნგოუს, ანდუნის, ლანტოუს, ძიულიანჩენის, ჩანდიანხეკოუს და პულანდიანის საჰაერო სივრცეში. ამავე დღეს ამ ადგილებში აღმოჩენილ იქნა მრავალი შავი მწერი, მუმლი, ხოჭო, კალია, ტილი და სხვა დასნებოვნებული მწერები, რომლებიც ჩამოყარეს ამერიკის თვითმფრინავებმა.

15 მარტს ამერიკის ერთ-ერთი თვითმფრინავი გამოჩნდა კაიპინში, სიუნ-იუსა და ლიშუტუნში და ჩამოყარა ლეგა თაგვები, ჭიაყელები, აგრეთვე ბუზები, მოსკიტები და სხვა დასნებოვნებული მწერები.

16 მარტს ამერიკის 75 თვითმფრინავი 17 ჯგუფად გამოჩნდა ანდუნში, ლანტოუში, ფინჩენში, ძიანში, ლინძიანში, ძინ-იუსა და ლაკუშაოში. 15 საათზე ანდუნში შეამჩნიეს ამერიკის 10-ზე მეტი თვითმფრინავი, რომლებიც ყრიდნენ თეთრი ფერის საგნებს. მყისვე ამის შემდეგ ქალაქის მიდამოებში აღმოჩენილ იქნა დასნებოვნებული მწერები, მათ შორის ბუზები, მოსკიტები და ობობები. ამავე დღეს 14 საათსა და 01 წუთზე ამერიკის თვითმფრინავმა სადგურ ძიანის მახლობლად ჩამოაგდო ორი ბომბი, რის შედეგადაც დაიღუპა 16 კაცი და დაზიანდა 12 სახლი.

17 მარტს ამერიკის 74 თვითმფრინავი 14 ჯგუფად გამოჩნდა ციციკარში, კეშანში, ნეხეში, სუილენში, ტალში, ბეიანში, ტუნზეასა და ანდუნში. 14 საათზე კეშანში იპოვნეს ორი თეთრი ტომარა, რომლებიც ჩამოაგდეს ამერიკის თვითმფრინავებმა. დღის 3 საათზე სოფელ იუნ-ანში კეშანის მახლობლად აღმოჩენილ იქნა ბამბის ტომრები, რომლებშიც ტილები და რწყილები იყო.

18 მარტს 19 საათსა და 40 წუთზე კეშანში გამოჩნდა ამერიკის ორი თვითმფრინავი. ისინი 40 წუთს დასტრიალებდნენ თავს ქალაქს და შემდეგ დაბლა ფრენით გადაუფრინეს ტაიანს, ნეხესა და სადგურ ლეხეს.

19 მარტს ამერიკის 23 თვითმფრინავი ხუთ ჯგუფად გამოჩნდა ანდუნში, კუანდიანში, ლინძიანში, კეშანში, ნეხესა და ლეხეში და ჩამოყარა ბუზები, ობობები და ყურბლები.

20 მარტს ამერიკის 44 თვითმფრინავმა შვიდ ჯგუფად გადაუფრინა ანდუნს, ლაოკუკოუს, დადუნგოუს, ჩანდიანხეკოუს, ლანტოუსა და ძიულიანჩენს. 11 საათზე ამერიკის თვითმფრინავებმა ჩამოყარეს დასნებოვნებული საგნები, მათ შორის მუხისა და მსხლის ფოთლები, სორგო და ქათმის ბუმბული.

21 მარტს ამერიკის 82 თვითმფრინავი 21 ჯგუფად გამოჩნდა ძინდუიძეში, სიუენში, ბეიძინძეში, ანდუნში, ძინ-იუში, ჩანბაიში, ციციკარსა და ძიახეში და ჩამოყარა დასნებოვნებული მწერები, აგრეთვე დასნებოვნებული საგნები.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში

**ნიუ-იორკი,** 29 მარტი. (საკდესი). 28 მარტს გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მორიგი სხდომა.

პირველი გამოვიდა შეერთებული შტატების წარმომადგენელი კოენი, რომელმაც განაცხადა, რომ მხარს უჭერს კომისიის მუშაობის გეგმის ფრანგულ პროექტს. მისი პირველივე სიტყვებიდან ნათლად ჩანდა, რომ ეს გეგმა შედგენილია ამერიკელთა მონაწილეობით და, არსებითად, წარმოადგენს ზოგიერთი სარედაქციო ცვლილებით შენიღბულ ამერიკულ გეგმას.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა განაცხადა, რომ საფრანგეთის გეგმა არაფრით არ განსხვავდება ამერიკის გეგმისაგან, რადგან მასშიც პირველ ადგილზეა შეიარაღების შესახებ ცნობების „გამოვლინებისა და შემოწმების" საკითხი. ეს ორივე გეგმა თანაბრად მიმართულია იმისაკენ, რომ ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის საკითხი და შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხი შეიცვალოს შეიარაღების შესახებ ცნობების შეგროვების საკითხით.

ი. ა. მალიკმა ცხადყო, რომ კომისიის მუშაობის ფრანგული გეგმა, ისე როგორც ამერიკული, მიზნად ისახავს გაამართლოს გამალებული შეიარაღება შეერთებულ შტატებში და მიჩქმალოს ის, რომ შეერთებული შტატების მმართველი წრეები უარს ამბობენ ატომური იარაღის აკრძალვაზე, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებაზე.

კომისიის მუშაობა ამერიკული გეგმის მიხედვით, აღნიშნა ი. ა. მალიკმა, როგორც მისი ორიგინალის, ისე აგრეთვე საფრანგეთის დელეგატის გამოცემის მიხედვით მოასწავებს კომისიის მიერ ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხების გვერდის ავლას, როგორიც არის ატომური იარაღის უცილობელი აკრძალვა და შეიარაღების შემცირება, რომლებიც კომისიის მუშაობის ძირითადი საკითხები უნდა იყოს. სხვანაირად რომ ითქვას, კომისიის მიერ ამერიკული გეგმის როგორც ერთი, ისე მეორე წარმოდგენილი ვარიანტის მიღება მოასწავებს იმას, რომ კომისია დაადგება ძირითადი და გადამწყვეტი საკითხების მეორეხარისხოვანი და დამხმარე საკითხებით შეცვლის გზას. ასეთი გეგმით მუშაობა ნიშნავს მხოლოდ იმის ცდას, რომ ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების საკითხი მიჩქმალოს უნაყოფო დისკუსიებით ცნობების შეგროვების შესახებ.

საბჭოთა კავშირის დელეგაცია, განაცხადა ი. ა. მალიკმა, მტკიცედ მოითხოვს საბჭოთა კავშირის მიერ წარმოდგენილი გეგმის მიღებას, რადგან იგი ერთადერთი გეგმაა, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის წინაშე დასმული მთავარი ამოცანის შესრულებას — ღონისძიებათა მიღებას ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების და შეიარაღებული ძალების შემცირებისათვის. ამიტომ საბჭოთა დელეგაცია მტკიცედ მოითხოვს მიღებულ იქნას ეს გეგმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის გეგმად.

ი. ა. მალიკმა კომისიის წევრების განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ კომისიის მუშაობის როგორც ამერიკულ გეგმაში, ისე აგრეთვე ფრანგულ გეგმაში სრულიად არ არის გათვალისწინებული ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების საკითხის განხილვა.

ორივე ეს გეგმა, აღნიშნა ი. ა. მალიკმა, ისე როგორც თვით გეგმების ავტორები, გვერდს უვლიან ამ დიდმნიშვნელოვან აქტუალურ საკითხს. ამავე დროს ყოველდღე მოდის ცნობები სულ ახალი ფაქტების შესახებ, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკის შეიარაღებული ძალები კვლავ ფართოდ იყენებენ ბაქტერიოლოგიურ იარაღს, ფეხქვეშ თელავენ არსებულ საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ბაქტერიოლოგიური ომის, როგორც სამარცხვინო და არაადამიანური ომის აკრძალვას.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა მოიყვანა მრავალი ფაქტი, თუ შეერთებული შტატების აგრესიული შეიარაღებული ძალები თვითმფრინავების, არტილერიისა და სხვა საშუალებათა გამოყენებით, როგორ ყრიდნენ და კვლავ ყრიან კორეისა და ჩინეთის ტერიტორიაზე ბაქტერიოლოგიურ მომაკვდინებელ საშუალებებს.

შეერთებული შტატების დელეგატმა კოენმა, რომელსაც აშკარად ეშინოდა, რომ საბჭოთა წარმომადგენელს კვლავ არ ემხილებინა დანაშაულებრივი საქმიანობა ამერიკის შეიარაღებული ძალებისა, რომლებიც ბაქტერიოლოგიურ ომს ეწევიან კორეაში, სცადა ხელი შეეშალა ი. ა. მალიკის გამოსვლისათვის იმ საბაბით, რომ კომისია თითქოს უფლებამოსილი არ არის განიხილოს საკითხი, იყენებენ თუ არა ამერიკის ჯარები კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიურ იარაღს, და რომ ამიტომ არ შეიძლება კომისიაში ამ საკითხზე გამოსვლა.

ამის პასუხად საბჭოთა წარმომადგენელმა განაცხადა: ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის საბუთების უსაფუძვლობას უკვე ის ფაქტი მოწმობს, რომ კომისიის განსახილველად წარმოდგენილია მუშაობის საბჭოთა გეგმა, რომელშიც სპეციალური პუნქტით გათვალისწინებულია განხილულ იქნას საკითხი ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვის დარღვევის, ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების არდაშვებისა და ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ყველასათვის სავსებით გასაგებია, განაგრძო ი. ა. მალიკმა, რატომ არ მოსწონს ამერიკის დელეგაციას საბჭოთა დელეგაციის მიერ მოყვანილი ფაქტები. სიმართლე თვალს ჩხვლეტს. ეს ფაქტები ადასტურებენ, რომ ამერიკელმა ინტერვენტებმა გააჩაღეს და განაგრძობენ ბაქტერიოლოგიურ ომს კორეისა და ჩინეთის წინააღმდეგ ამ სამარცხვინო და უსინდისო ომს, რომელსაც ვერ ურიგდება პატიოსან ადამიანთა სინდისი, ცივილიზებულ ხალხთა სინდისი.

შემდეგ ი. ა. მალიკმა მოაგონა დამსწრეთ, რომ ამერიკის დელეგატს არათუ არ უარუყვია, არამედ, პირიქით, თავისი განცხადებით კომისიის 26 მარტის სხდომაზე, არსებითად, დაადასტურა, რომ შეერთებულ შტატებში მზადდება მასობრივი მოსპობის ყველა სახეობის იარაღი, მათ შორის ბაქტერიოლოგიური იარაღიც. როგორც სახელმწიფო მდივანი აჩესონი, ისე ამერიკის წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში კოენი, უარს ამბობენ დაგმონ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება. ამის გამო მით უფრო საჭიროა, რომ კომისიამ მოითხოვოს ბაქტერიოლოგიური ომის დაუყოვნებლივ დაგმობა, ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების არდაშვება, ბაქტერიოლოგიური ომის აკრძალვის დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემა. ეს აკრძალვა გათვალისწინებულია ჟენევის ოქმით, რომლის რატიფიკაციაზე შეერთებულმა შტატებმა, არსებითად, უარი თქვეს, როცა იგი ტრუმენის მოთხოვნით არ დაამტკიცეს სენატში.

კომისიის თავმჯდომარემ კანადის დელეგატმა ჯონსონმა ამერიკის დელეგატის საამებლად საჩქაროდ გამოიტანა დადგენილება, რომელიც დელეგატებს უკრძალავს გააკეთონ განცხადებანი და მოიყვანონ ფაქტები შეერთებული შტატების მიერ კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური ომის წარმოების შესახებ.

ამერიკა-ინგლისის ბლოკის კენჭისყრის მორჩილმა მანქანამ კომისიაში დაუყოვნებლივ დაამტკიცა ეს სამარცხვინო გადაწყვეტილება. საბჭოთა კავშირის დელეგაციამ ხმა მისცა წინააღმდეგ და სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა მტკიცედ გააპროტესტა კომისიის ამერიკა-ინგლისის უმრავლესობის ეს უკანონო გადაწყვეტილება. მალიკმა განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა და მათმა მომხრე ინგლისმა, საფრანგეთმა, თურქეთმა, ჰოლანდიამ და საბერძნეთმა, რომლებიც სამხედრო-აგრესიულ ბლოკად გაერთიანდნენ, კომისიაში თავიანთი კენჭისყრით ცხადყვეს, რომ ისინი აჩესონთან ერთად ეწინააღმდეგებიან სამარცხვინო ბაქტერიოლოგიური ომის დაგმობას.

შემდეგ კომისია შეუდგა კომისიის მუშაობის გეგმების პროექტებისათვის კენჭისყრას. პირველად უყარეს კენჭი კომისიის მუშაობის გეგმის საბჭოთა პროექტს. კენჭისყრის ამერიკულ-ინგლისურმა მანქანამ უარყო საბჭოთა გეგმა. კომისიის მუშაობის საბჭოთა გეგმას ხმა მისცა სსრ კავშირის დელეგაციამ. თავი შეიკავეს საფრანგეთისა და პაკისტანის დელეგაციებმა. წინააღმდეგ მისცეს ხმა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, თურქეთის, საბერძნეთის, ბრაზილიის, ჩილის, კანადის დელეგაციებმა და გომინდანელმა.

განმარტა რა მუშაობის საბჭოთა გეგმის გამო თავისი კენჭისყრის მოტივები, პაკისტანის დელეგატმა იმედი გამოთქვა, რომ გენერალური ასამბლეის რეზოლუციის შესაბამისად კომისიის განსახილველად წარმოდგენილი საბჭოთა წინადადებანი განხილულ იქნება კომისიის შემდგომი მუშაობის დროს, და დასძინა, რომ არც ერთ გადაწყვეტილებას, რომელსაც კომისია საბჭოთა კავშირის მხარდაუჭერლად მიიღებს, არავითარი ღირებულება არ ექნება.

ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა კომისიის მუშაობის გეგმის ფრანგული პროექტი. სსრ კავშირის დელეგაციამ ხმა მისცა ამ გეგმის წინააღმდეგ.

კომისიის შემდეგი სხდომა დანიშნულია 1 აპრილს.

# ბულგარეთის დელეგაცია გამოემგზავრა მოსკოვის საერთაშორისო ეკონომიურ თათბირზე

**სოფია,** 30 მარტი. (საკდესი). დღეს საერთაშორისო ეკონომიურ თათბირში მონაწილეობის მისაღებად სოფიიდან მოსკოვს გაფრინდა ბულგარეთის დელეგაცია, რომელსაც ეკონომისტი პროფესორი ტოდორ ვლადიგეროვი მეთაურობს.

# უნგრეთის დელეგაცია გამოემგზავრა მოსკოვის საერთაშორისო ეკონომიურ თათბირზე

**ბუდაპეშტი,** 30 მარტი. (საკდესი). გუშინ საერთაშორისო ეკონომიურ თათბირში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს გაემგზავრა უნგრეთის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სრულიად უნგრეთის კოოპერაციის კავშირის გენერალური მდივანი იმრე დეგეი.

# არჩევნები ირანში

**თეირანი,** 30 მარტი. (საკდესი). ირანის ფარსის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრმა რამმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მე-17 მოწვევის მეჯლისში უკვე არჩეულია 71 დეპუტატი, და მას შეუძლია დაიწყოს მუშაობა 16 ან 17 აპრილს. ირანში ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისად საკმარისია, რომ მეჯლისში იყოს დეპუტატთა საერთო რიცხვის ნახევარი პლუს ერთი დეპუტატი იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ახალი მოწვევის მეჯლისის მუშაობის დაწყება. ამჟამად ამისათვის საკმარისია 69 დეპუტატი.

# საერთაშორისო ეკონომიური თათბირის გამო

**ნიუ-იორკი,** 27 მარტი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, გუშინ საერთაშორისო ეკონომიურ თათბირში მონაწილეობის მისაღებად გაფრინდა ბრაზილიის 14 წარმომადგენელი.

# საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

**2 აპრილს**

06.25—სიმღერები სამშობლოზე და სტალინზე. 07.30 — პოპულარული მუსიკა; 09.20—რუსული, უკრაინული და ბელორუსული სიმღერების კონცერტი; 11.10 — ქართველ კომპოზიტორთა კამერული ნაწარმოებები; 11.30 — საუბარი: „საფრანგეთის მშრომელთა ღატაკური მდგომარეობა"; 17.15 — კომპოზიტორ მიასკოვსკის მეთვრამეტე სიმფონია; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის; 18.15 — ქართული ხალხური სიმღერები; 19.15 — რუს კომპოზიტორთა სიმღერებისა და რომანსების კონცერტი; 19.45 — საუბარი: „ამერიკელი ინტერვენტების მხეცობა კორეაში"; 20.30 — რადიოსადგურებით—გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; ქალაქის სატრანსლაციო ქსელით — კომპოზიტორ ვენიავსკის ნაწარმოებები; 20.45 — კონცერტი რადიოინფორმაციის კომიტეტის გუნდის შესრულებით; 21.00 — გადაცემა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად — ლექცია „საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო"; 22.30 — ლიტერატურული გადაცემა — ნაწყვეტი ნოვიკოვ-პრიბოის რომანიდან—„ცუსიმა". 22.50—რახმანინოვის მეორე საფორტეპიანო კონცერტი; 00.05 — ნაწყვეტი ბიზეს ოპერა „კარმენიდან".



ამ დღეებში გაიხსნა თბილმრეწვაჭრობის ახალი მაღაზია (მელიქიშვილის ქ. № 6).
**სურათზე:** მაღაზიის ფეხსაცმლის სექციაში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

# საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ბუდაპეშტში

**ბუდაპეშტი,** 29 მარტი. (საკდესი). 29 მარტს გაიმართა მაროცის ხსოვნის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეთხუთმეტე ტური. 9 პარტიაში დამთავრდა 7 პარტია, აქედან 6 პარტიაში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა: ბოტვინიკ-პეტროსიანის, ბენკო-გელერის, საბო-სმისლოვის, ო' კელი-პილნიკის, გერებენ-შტალბერგის და სილი-გოლომბეკის პარტიები.

ბარცამ 25-ე სვლაზე მოუგო პლატცს, გადადებულია ტროიანესკუ-კერესის და კოტნაუერ-სლივას პარტიები. კერესსა და კოტნაუერს მატერიალური უპირატესობა აქვთ.

# ქალთა საკავშირო პირველობა ჭადრაკში

## მეექვსე ტური

დაძაბული ბრძოლა ახასიათებდა მეექვსე ტურს. ი. გურფინკელმა ს. პოდვოინაიას წინააღმდეგ პარტიაში მალე მოიპოვა მატერიალური უპირატესობა და 26-ე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია.

რთული და მანევრული თამაშით ბ. კრეზბერგმა ლ. კოგანთან პარტიაში შესწირა ხარისხი, რითაც განავითარა ძლიერი იერიში მოწინააღმდეგის მეფეზე. მიუხედავად ლ. კოგანის ზუსტი თავდაცვისა, ბ. კრეზბერგმა 42-ე სვლაზე შავების მეფეს შამათი გამოუცხადა. არასწორად გაითამაშა სიცილიური პარტია ნ. ვოიცეკმა თეთრებით თ. ფილანოვსკაიას წინააღმდეგ, რითაც ისარგებლეს შავებმა, ხელთ იგდეს ინიციატივა და პარტია მოიგეს. მანევრირების შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ ს. როოტარე-ე. ბიგლოვა, თ. მახინია-თ. სტრანდსტრემი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

## მეშვიდე ტური

მეშვიდე ტურში ლ. კოგანმა კარგად გამოიყენა ვ. ბელოვას მიერ დაშვებული შეცდომა და მხედრის შეწირვით 21-ე სვლაზე პარტია მოიგო. ლ. ვოლპერტმა ორი ფიგურის შეწირვით 25-ე სვლაზე მოუგო ვ. ტიხომიროვას. თ. ფილანოვსკაიამ უკეთეს პოზიციაში დაუშვა შეცდომა და წააგო პარტია ბ. კრეზბერგთან. ს. პოდვოინაიამ წააგო ე. ბიგლოვასთან. ყაიმით დამთავრდა ი. გურფინკელ-თ. მახინიას პარტია. აღსანიშნავია, რომ თ. მახინიამ შვიდი თამაშიდან ყველა ყაიმით დაამთავრა.

ო. რუბცოვა-ს. როოტარეს, ო. იგნატიევა-ნ. ვოიცეკის და თ. სტრანდსტრემ-ბ. ვაისბერგის პარტიები გადაიდო.

მსოფლიო ჩემპიონის ლ. რუდენკოს ავადმყოფობის გამო მისი პარტია ე. ბიკოვასთან არ გათამაშებულა.

დღეს შედგება გადადებული პარტიების დამთავრება.

# სასამართლო ქრონიკა

**სპეკულაციისათვის** აშოტ მნაცაკანის-ძე ნონიევს თბილისის ბერიას რაიონის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლომ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ ერთი წლის ვადით საარჩევნო უფლების ჩამორთმევა.

• • •

**ქრთამის აღებისათვის** იაკობ სიმონის-ძე ბალახაშვილს ბერიას რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის მოხდის შემდეგ 2 წლის ვადით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

# მხატვართა შემოქმედებითი სახელოსნო

ვაკეში დამთავრდა საქართველოს სახვითი ხელოვნების მუშაკთათვის კეთილმოწყობილი შემოქმედებითი სახელოსნო შენობის აგება. ეს სახელოსნო შენობა, რომლის პროექტი ეკუთვნის არქიტექტორ ლ. ხარაშვილს, 23-ოთახიანია.

რამდენიმე დღის წინათ ეს შენობა გადაეცათ მხატვრებსა და მოქანდაკეებს შემოქმედებითი მუშაობისათვის გამოსაყენებლად. შენობაში საკუთარი სახელოსნოები მიიღეს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ალ. ციმაკურიძემ, დოცენტმა კ. გრძელიშვილმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. ქუთათელაძემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა ალ. ვეფხვაძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ თ. აბაკელიამ, შ. მაყაშვილმა, ვ. ჯაფარიძემ, ს. ნადარეიშვილმა, ალ. ნაცვლიშვილმა, შ. ცხადაძემ, ვლ. კეშელავამ, ალ. ჟღენტმა, ბ. გიორგაძემ და სხვებმა.

# საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში

შაბათს, 5 აპრილს, საღამოს 8 საათზე საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების საჯარო სხდომაზე (კეცხოველის ქ. № 11), ამხ. ზ. ტინტილოზოვი გააკეთებს მოხსენებას თემაზე: „ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა".

მოხსენების შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოფილმი „საბჭოთა ლატვია".

# დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

**პირველი გვერდი** — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში — სასურსათო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ.

ფასების ახალი დაკლება — საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის ამხანაგ სტალინის დაუღალავი მზრუნველობის მკაფიო მაგალითია.

დაიხურა რსფსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია.

საერთო სათაურით „წარმატებით შევასრულოთ საპირველმაისო ვალდებულებები" წერილები: ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობაზე. კვარტალური გეგმის ვადამდე შესრულება. საქმიანი პასუხი. ზეგეგმითი ფეროშენადნობი. ქვანახშირისათვის ბრძოლის მოწინავენი. საუკეთესო ხარისხის პროდუქციის საწარმოებში. საგაზაფხულო სამუშაოები პლანტაციებში.

**მეორე გვერდი** — პარტიული ცხოვრება — საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

ავლაგმოთ ბაქტერიოლოგიური ომის გამჩაღებლები.

ამერიკული პრესა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

**მესამე გვერდი** — ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ საბჭოთა კავშირ-იტალიის ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა.

საერთაშორისო ეკონომიური თათბირის წინ.

**მეოთხე გვერდი** — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
**ი. ნატროშვილი**

# დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის**—რიგოლეტო (მე-4 აბ.); **რუსთაველის სახელობის**—ჩაძირული ქვები; **მარჯანიშვილის სახელობის**—რევიზორი; **სომხური დრამის**—მასკარადი (გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — შინ დაბრუნება მინდა (მე-12 აბ. 10 ს. ); **თოჯინების ქართული** — ბებია დარეჯანის ზღაპრები (12½ ს. და 2 ს.); **სანკულტურის** — ერთი ოჯახის ისტორია.

---

მეუღლე ეპრასია, შვილები მარკოზ, ივანე, ნუშა, აგრაფინა, ქეთო, რძლები ნინო, მარგარიტა, სიძეები ე. ბერაია, მ. ქავთარაძე და შვილიშვილები იუწყებიან **მინა მარკოზის-ძე დუგლაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-IV, სოფ. მწყერისციხეში (ზესტაფონის რ.).

---

დედა მატო, მეუღლე ალექსანდრე, შვილები ბერდია, გურამ იუწყებიან **მაყვალა ტუხაშვილი-ქავთარაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-IV, 5 ს. გურჯაანში.

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან მხცოვანი მწერლის **დომენტი თომაშვილის** გარდაცვალებას.

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ენების კათედრა იუწყება პროფესორ **მიხეილ ივანეს-ძე ცხაკაიას** გარდაცვალებას.

---

კოტე სოხაძე ოჯახით იუწყება სიძის **დავით სპირიდონის-ძე ქოხონელიძის** გარდაცვალებას.

---

მეუღლე თამარ, შვილები ჟუჟუნა, ქეთო, გოგი, თენგიზ, და გუცა, სიძეები ვ. ფერაძე, ო. წერეთელი შვილებით იუწყებიან **ბენო ნიკოლოზის-ძე ფხალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1-IV, 8 ს. ბელინსკის, 7. დაკრძალვა ჰიათურაში. გამოსვენება ცხაკაიას, 71.

---

მეუღლე ნინო, შვილები ზინა, პავლე, რძალი ეთერ შვილებით, დები დოსია, მანო, ვასასი ოჯახებით იუწყებიან **პორფილე გადაბაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-IV, 7 ს. 30 წ. გამოსვენება 3-IV, 6 ს. გომბორის 2.

---

მეუღლე ნინო, შვილი მედეა, ძმები შალვა, ევგრაფი, დები გაიანე, ნადია, რაისა სანიკიძეები ოჯახებით, დ. კარსელიშვილი, თ. და ა. შახოვები იუწყებიან პროფესორ **აკაკი ონისიმეს-ძე სანიკიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-IV, 7 ს. გამოსვენება 3-IV, 5 ს. ანაგის, 16 (საბურთალო, სპეციალისტების სახლი).

---

შვილები ნინო, თამარ, ფაცურა, დავით, რძალი კატუშა, სიძეები გრიშა გაგოშიძე, გაბრიელ კალანდაძე და შვილიშვილები იუწყებიან **პელაგი ქრისტესის ასულ კვაჭანტირაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-IV, სოფ. ხიდისთავში (ჩოხატაურის რ.).

---

შვილი მარიამ, რძალი მათიკო, შვილიშვილები ქეთო, ლიზა, ბიჭიკო ოჯახებით, სიძე ლ. ჯანდიერი, ნ. ქარუმიძე, ლ. პარკაძე იუწყებიან **ილია დავითის-ძე გარსევანიშვილის** გარდაცვალებას გამოსვენება 1-IV, 5 ს. პლეხანოვის პროსპექტი, 113.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14

უე 00269